

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სალომე ხაჩიძე



თანამედროვე მიგრაციული პროცესები გლობალიზაციის
კონტექსტში

სამაგისტრო პროგრამა: საერთაშორისო ეკონომიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამაზ ზუბიაშვილი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი

თბილისი 2019

ანოტაცია

გლობალიზაციით გამოწვეულმა მიგრაციულმა პროცესებმა შექმნა სამყარო რომელსაც დღეს ფანჯრიდან ვხედავთ. მიგრაციული ნაკადების შეუქცევადი ზრდა მსოფლო აზრს ორ ნაწილად ჰყოფს. რა არის სინამდვილეში მიგრაცია, საშიშროება თუ უკეთესი მომავლის გარანტია? ამაზე პასუხის გაცემა მიგრაციული პროცესების სიღრმისეულ ანალიზის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია განვიხილოთ ძირითადი მიზეზები რაც ზრდის ქვეყნებს შორის გლობალური სახით მიგრაციას. სწორედ ამას დაეთმობა ეს ნაშრომი.

პირველ ნაწილში, ჩვენ განვიხილავთ მიგრაციის თემის აქტუალურობას, მისი არსის გამოკვლევისას გამოვიყენებთ ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც აღებული იქნება მსოფლიო ორგანიზაციების კვლევებიდან. ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩამოვყალიბებთ მოსაზრებას მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

ზოგადი მიმოხილვის შემდგომი ნაწილი ეთმობა მიგრაციის ძირითად გამოძწვევ მიზეზებს, როგორცაა იძულებითი მიგრაცია, ბუნებრივი კატაკლიზმებით განპირობებული მიგრაცია და ინტელექტუალური მიგრაცია. იძულებითი მიგრაციის თვალსაჩინოდ დასანახად გამოვიყენებთ ევროპის მიგრაციის კრიზისის და აშშ-ში ამჟამად მიმდინარე პროცესების ანალიზს. მიგრაცია სტატისტიკური მონაცემების გარეშე არაფერია, შესაბამისად დანარჩენი ორი სახის მიგრაციის გასათავისებლად მოვიშველიებ მსოფლიო მიგრაციის სტატისტიკოსების მიერ ჩამოყალიბებულ მონაცემებს და დეტალურად განვიხილავთ მათ. იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ წარმართოთ ეს პროცესები ქვეყნის სასიკეთოდ, საჭროა, შევისწავლოთ ის მიგრაციული პოლიტიკის ასპექტები, რასაც ატარებენ ქვეყნები. დავადგინოთ, რამდენად დაეხმარა ეს სტრატეგიები ქვეყანას წინსვლისთვის და რად დაუჯდათ მათი განხორციელება.

დასკვნით ნაწილში შევაჯამებთ ზემოთ წარმოშობილ პრობლემებს, მათი გაჩენის მიზეზებიდან გამომდინარე ჩამოვყალიბებთ მოგავრების გზებს და შემოგთავაზებთ ზოგად რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება ქვეყნებს, სხვა თვალთ შეხედონ ამჟამად არც თუ ისე შედეგიანად მოქმედ მიგრაციულ პოლიტიკას და უკეთესობისკენ შეცვალონ ის.

Annotation

Migration processes caused by globalization created the world as we see it from our windows. An irreversible growth of migration flows splits the general opinion into to pieces. What actually is migration, a threat or an access to better future? The answer to this question lies into fundamental analyses of migration processes. It is necessary to discuss main reasons that serves rising global migration between countries. That is the main subject of this thesis.

In the first half, we will discuss importance of migration while using statistic data from researches of global organizations. Based on this data we will establish opinion about positive and negative sides of migration.

The next part of the general overview is dedicated to the main types of migration, such as forced migration, migration caused by natural disasters and intellectual migration. In order to clearly see the nature of forced migration we will use migration crisis occurring in Europe as an example as well as analyzing current processes in the US. Migration without statistics worth nothing therefore to contemplate other two types of migration I will use data collected by world migration statistics and analyze it in detail. In order to find out how to manage these processes for good, it is necessary to learn aspects of migration politics carried out by different countries. Establish by what degree did these strategies help countries move forward and what was the price to pay for carrying them out.

In concluding part we will summarize problems mentioned above, establish ways of solving them and offer general recommendations that will help countries look ill-working migration politics from other perspective and change it for better.

Salome Khachidze

Modern migration processes in the context of globalization

შინაარსი

ანოტაცია	2
შესავალი	5
1. გლობალიზაციით გამოწვეული მიგრაციის არსი და ზოგადი მიმოხილვა.....	11
2. რატომ და სად გადაადგილდება მოსახლეობა, ზოგადი სტატისტიკა და მონაცემები	15
3. მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები	21
4. მსოფლიოში არსებული მიგრაციული პროცესების ძირითადი გამომწვევი მიზეზები	27
4.1 ევროპის ქვეყნებში არსებული მიგრაციის ნაკადების მიმართულებები, თანამედროვე მიგრაციის კრიზისი ევროპაში	28
4.1.1 თანამედროვე მიგრაციის კრიზისი ევროპაში	33
4.1.2 მიგრაციის კრიზისის დაძლევის გზები	36
4.2 აშშ - მიგრანტების ქვეყანა	40
4.2.1 „მწვანე ოცნების“ დასასრული	43
4.3. კვალიფიციური სამუშაო ძალის ემიგრაცია („ტვინების გადინების პრობლემა“)	52
4.3.1 კვალიფიციური მუშახელის ბაზრის მოკლე მიმოხილვა, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები	54
4.3.2 ინტელექტუალური მიგრაციის გამომწვევი მიზეზები	60
4.3.3 „ტვინების გადინების“ დადებითი და უარყოფითი მხარეები	63
4.3.4 რეკომენდაციები განვითარებადი ქვეყნებისთვის	67
4.4 გარემო ფაქტორების მიერ გამოწვეული მიგრაცია.....	69
დასკვნა	79
გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები:.....	82

შესავალი

თემის აქტუალურობა: მიგრაცია და გლობალიზაცია ეს ორი ტერმინი დიდი ხანია უკვე არსებობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიგრაცია განიხილება, როგორც გლობალიზაციის მთავარი კომპონენტი. მათ შორის კავშირი არის ძლიერი და საკმაოდ აქტუალური შესწავლის საგანი დღევანდელ რეალობაში. ისინი ყველას თავისებურად ესმის, მაგრამ რა არის მათი რეალური მნიშვნელობა? ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, თუ რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეულია. მისი შედეგია ის რომ ჩვენ შეგვიძლია გვეცნოთ იმ სამეცნიერო ნაშრომებს რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული უნივერსიტეტების წარმომადგენლები ამუშავებენ. ტერმინი „გლობალიზაციის“ ყველაზე ადრეულ გამოყენებას ვხვდებით 1930 წლის გამოცემაში „ახალი განათლების მიმართულება“ სადაც აღინიშნა განათლების სფეროში ადამიანის გამოცდილების პოლიტიკური ხედვა. ხოლო ეკონომიკური გაგებით ეს ტერმინი გამოიყენება 1981 წლიდან.

მიგრაცია იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი ფრიდმანის მსოფლიოს ქვეყნების ჰიპოთეზებში, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1986 წელს, მან აღნიშნა რომ „მსოფლიო ქალაქები არის დანიშნულების ადგილი დიდი რაოდენობით გარე თუ შიდა მიგრაციისთვის“¹ ამჟამად ჩატარებულია მრავალი კვლევა მიგრაციის შესახებ კონკრეტულ ქალაქებში, მაგრამ ყველა მათგანი მოკლებულია სიზუსტეს რადგან არ არსებობს ზუსტი ემპირული მონაცემები მიგრანტთა რაოდენობის დასადგენად. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესებმა უძველესი დროიდან მრავალი ახალი ქვეყანა თუ

¹ ფრიდმანი მ. 1986

საზოგადოება წარმოშვა, ბოლო 50 წლის განმავლობაში მიგრაცია უფრო და უფრო ინტენსიურ ადგილს იკავებს ქვეყნების დღის წესრიგში.

„ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც ყველა წარმომავლობის, ყველა ნაციის, ყველა ენაზე მოსაუბრე, ყველა რელიგიის და რასის მქონე ხალხს შეუძლია სახლად აქციოს. ამერიკა აშენდა იმიგრანტების მიერ.“²

ნებისმიერი ადამიანი ყოველთვის ეძებდა ახალ შესაძლებლობებს ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ზოგჯერ კი ეს საცხოვრებლის დატოვებასაც მოითხოვდა, მაგრამ გლობალიზაციის პირობებში ამ მიგრაციულმა პროცესებმა უფრო ფართო მასშტაბები და სხვა ელფერი შეიძინა. წლების განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა მსოფლიო ეკონომიკამ, განვითარდა ტექნოლოგიები, წარმოება, მასიური ცვლილებები მოხდა წარმოებაში და შრომის ბაზარზე. გლობალიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს ქვეყნებს შორის საზღვრების გახსნას, იგი ხელს უწყობს თავისუფალ ვაჭრობას და წარმოების ფაქტორების თავისუფალ გადაადგილებას მსოფლიოში, რაც თავისთავად უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტი მოგების მიღება შეუძლიათ მათი გამოყენებით. ასეთი ნაკადების სწრაფმა ზრდამ რათქმაუნდა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მიგრაციაზე და გამოიწვია, არა მხოლოდ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარება, არამედ უმუშევრობა და საშუალო ხელფასის მასიური კლება. გლობალიზაცია არის პოლიტიკონომიკური სახელი მსოფლიო მასშტაბის შრომის გადანაწილებისთვის.

დედამიწაზე დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად ფართოვდება გლობალიზაციის საზღვრები, ეს თავისთავად იწვევს ადამიანების გადაადგილების გადადილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში. როგორც ჩვენი რეალობა გვიჩვენებს, ეს გადაადგილება შესაძლებელია იყოს ნებაყოფლობითთან ერთად ასევე იძულებითი. წლების მანძილზე ადამიანთა ამ ნაკადების დენადობამ ქვეყნებს შორის შეიძინა დიდი

² „We are a country where people of all backgrounds, all nations of origin, all languages, all religions, all races, can make a home. America was built by immigrants,“ (Hillary Clinton)

მასშტაბები და ჩამოყალიბდა ერთ დიდ თავსატეხად, რომლსაც მიგრაცია ეწოდა. მიგრაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემაა, რადგან იგი არა მხოლოდ სოციალური, არამედ მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემაც არის და არაერთ სირთულეს ქმნის მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში. თანამედროვე მიგრაციების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. ეს თანაბრად ეხება როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციებს. მიგრაციამ მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია არამარტო მიმღებ, არამედ გამცემ ქვეყნებში. მიგრანტები ახდენენ გავლენას ქვეყნებზე საიდანაც მიემგზავრებიან. ეს გავლენა შემდეგნაირად გამოვლინდება: 1.სამუშაო ასაკის მოსახლეობის გადინება.(15-65წწ.); 2.სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევა; 3.ასაკოვანი მოსახლეობის ზრდა საერთო რაოდენობაში და სხა.

იძულებითი მიგრაცია აქტუალური იყო როგორც წლების წინ, ასევე თანამედროვეობაშიც ძალზე მძიმე განხილვის საგნად რჩება. ადამიანებს უწევთ დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები და თავშესაფარი ეძიონ ისეთ ქვეყნებში, რომელსაც მათი სამშობლოსგან განსხვავებით მშვიდი საცხოვრებელი გარემო აქვთ. ეს ყველაფერი მათი ნების საწინააღმდეგოდ ხდება პოლიტიკური დემოგრაფიული თუ ეკონომიკური მდგომარეობის გამო. ფართომასშტაბიანი ომების რაოდენობა იკლებს, მაგრამ მათ ადგილს იკავებს შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც უკვე შიდა შუღლსა და დაპირისპირებას იწვევს. ეს ბევრს გადასახლებისკენ უბიძგებს. სავალალოდ იზრდება იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რომელთა მიღება განვითარებულ ქვეყნებს მძიმე ტვირთად აწვება. ქვეყნებს შიგნით მიმდინარეობს მთელი რიგი დაძაბულობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მიგრანტებს შორის როგორებიცაა რასიზმი და სხვა ეთნიკური კონფლიქტები. მიგრანტებს ექმნებათ პრობლემები მკვიდრ მოსახლეობასთან, რაც გამოიხატება კულტურულს შუთავსებლობაში და ინტეგრაციის სირთულეში. მათთვის კიდევ ერთი მეტად ხშირი პრობლემაა ენობრივი ბარიერები. დღესდღეობით რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ ევროპის ქვეყნები. ამ ქვეყნებში იმატა კრიმინალმა და ტერორიზმის ფაქტებმა.

მიზნები: მოცემული ნაშრომის მიზანია მკაფიოდ დაგვანახოს ის მიგრაციული ტენდენციები რასაც ვაწყდებით მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში, განიხილოს ის დადებითი და უარყოფითი მხარეები რაც თან ახლავს ამ მიგრაციულ ნაკადებს. მათი ანალიზის საფუძველზე შემოგვთავაზოს არსებულ პრობლემებთან და ხარვეზებთან გამკლავების საშუალებები, რომელმაც წლების მანძილზე სავალალო მასშტაბები შეიძინა.

ასევე საჭიროა შევაფასოთ თუ როგორ აცნობიერებს მსოფლიო მოსახლეობა ამ თემას, რამდენად ლოიალურია ქვეყნების მთავრობების და თავად მოსახლეობის დამოკიდებულება მიგრანტთა მიმართ. შევისწავლოთ ყველაზე უფრო აქტიური ნაკადები რომლებსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში და ის დანიშნულების ადგილები სადაც ეს ნაკადები გადაადგილდნენ. ამის გასაგებად აუცილებელია გამოვიკვლიოთ ძირითადი მიგრაციის მიმღები და გამცემი ქვეყნების ეკონომიკური მზაობა ამ პროცესებისადმი. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ძირითადი მიგრაციული პროცესების განხილვა/შესწავლა და ამასთანავე წასრულის გამოცდილების გათვალისწინებით გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება რომლებიც ფრიად დაეხმარება ქვეყნებს მიგრაციის შედეგად გაჩენილი პრობლემების გადაჭრაში.

დასმული ამოცანების შინაარსი:

- მიგრაციის არსის ჩამოყალიბება და მისი მნიშვნელობის გაანალიზება ;
- მიგრაციული ნაკადების მიმართულებები;
- ქვეყნებში ემიგრაციის თუ იმიგრაციის მიერ გამოწვეული დადებითი და უარყოფითი შედეგები;
- ევროპაში მიგრაციული ნაკადების გადაჭარბებული რაოდენობით მიღებით გამოწვეული მიგრაციის კრიზისის განხილვა;
- აშშ-ს ლოიალური პოლიტიკის ამსახველი მონაცემები ახლო წარსულიდან და მიმდინარე რადიკალური ცვლილებები მიგრაციის პოლიტიკაში.
- ინტელექტუალური მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და მასთან საბრძოლველად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები.

- გარემო ფაქტორებით გამოწვეული მიგრაციის და კლიმატის ცვლილების სტატისტიკები და მონაცემები

საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება: ნაშრომის კვლევის საგანი გახლავთ გლობალიზაციის პირობებში მიგრაცია და ის პროცესები და მიზეზები, რაც იწვევს მას. ასევე მსოფლიო ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული სტატისტიკური მონაცემების და მათზე დაყრდნობით აგებული თეორიული ანალიზების განხილვა. რაც შეეხება კვლევის ობიექტს, მისი ფორმულირება შემდეგნაირად შეგვიძლია, განვიხილოთ მიგრაციის რა პროცესები ვითარდება გლობალიზაციის თანხლების დროს და რამდენად დადებითად ან უარყოფითად აისახება ეს მოვლენები მსოფლიოში ქვეყნების ეკონომიკებზე, ასევე როგორ ცდილობენ ეს პროცესები გამოიყენონ მართველმა ორგანოებმა საკუთარი ქვეყნის განვითარებისთვის, ან რა პოლიტიკის გატარებით ებრძვიან ტვირთად დაწოლილ „ზედმეტ სამუშაო ძალას“.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები: თეორიულ ბაზად გამოვიყენებთ ამ საკითხთან დაკავშირებულ როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების კვლევებს და ნაშრომებს. ასევე მნიშვნელოვნად გამოსადეგია ინტერნეტში მოძიებული პუბლიკაციები და სტატიები რომელბიც თანამედროვე ელფერს შესძენს კვლევის პროცესს. უკეთ გასარკვევად გავეცნობით დუბროვნიკის უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტის წარმომადგენლის პედრო მალდინის და ბერნის კოლეჯის წარმომადგენლის მარტა ტაკაჰაშის მიმოხილვით ნაშრომს სადაც განხილულია ის პოლიტიკური ინდიკატორები, რომლებმაც ვერ გაუძლეს მიგრაციის კრიზის და გამოიწვიეს ევროინტეგრაციის საფრთხის ქვეშ დაყენება. მათ სერუიოზულ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ევროპის სამიგრაციო პოლიტიკა, ნათლად წარმოადგინეს მისი უსუსურობა და რეალობასთან შეუსაბამობა. ევროპის ნაწილის მიმოხილვის დროს თემის დაკონკრეტებისთვის განვიხილავთ ანა მინგერის დისკუსიურ სტატიას "მიმდინარე საკითხები მიგრაციულ სამუშაო ძალაზე გერმანიაში" რომელიც საკმაოდ მკაფიო დასკვნების საშუალებას მოგვცემს იმ თემაზე, თუ როგორ მოახერხა გერმანიამ მსოფლიო

მიგრაციული კრიზისი გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს ნაშრომი აღწერს იმ მიზეზს რის გამოც გერმანიამ არათუ მძიმე ტვირთად არამედ ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ძლიერ ბერკეტად გამოიყენა ემიგრანტები. ასევე გამოვიყენებთ იტალიური გაზეთის რედაქტორის გულიო მეოტის სტატიას რომელიც ზოგადად წარმოდგენას შეგვიქმნის ევროპაში არსებული კრიზისის მიმდინარე პროცესების შესახებ, იგი იყენებს ამ მონაცემების განსამტკიცებლად PPew Research და Die Welt -ის კვლევებს. რაც შეეხება თავად გლობალიზაციის განხილვას და მისი გავლენის შეფასებას თანამედროვე მიგრაციულ პროცესებზე გამოვიყენებთ ჯოზეფ სტიგლიცის წიგნს “გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება” რომელშიც ჩამოყალიბებულია არა მსოფლიოში გავრცელებული დადებითი ეფექტები, რომელიც გლობალიზაციას მოსდევს არამედ ის რიგი ნაკლოვანებები რომელსაც ვაწყდებით ამ საკითხის რეალობაში დანერგვის დროს. ასევე რაოდენობრივი მონაცემების განხილვის ტექნიკური ინფორმაციისთვის გამოვიყენებთ როგორც საქართველოს ასევე მსოფლიოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ კვლევების მონაცემებს, სამოქმედო გეგმებს და სტატისტიკებს, რომლებიც შემდგომში ჩვენს მიერ თვალსაჩინოებისთვის იქნება ჩამოყალიბებული გრაფიკების და ცხრილების სახით.

1.გლობალიზაციით გამოწვეული მიგრაციის არსი და ზოგადი მიმოხილვა

გლობალიზაცია შედარებით ახალი ფენომენია, რომელიც აღმოაჩინეს მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, იგი გამოიწვია ეკონომიკური და სოციალური ძალების, ინტერესების და ვალდებულებების, ღირებულებების და გემოვნების, გამოწვევების და შესაძლებლობების გადაკვეთამ. ბევრ ასეთ ემიგრაციულ ტალღას ამოდრავებს ხელფასებს შორის სხვაობა სხვადასხვა ქვეყნებში. ასევე განსხვავებული ნაციონალური პოლიტიკა არსი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტორი ემიგრანტთა ჯგუფებისათვის. სამუშაო ძალაში შემავალი ასაკის მოსახლეობის მიგრირება დადებითად მოქმედებს მიმღებ ქვეყანაზე რადგან ამ ადამიანებით მათ შეუძლიათ ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი მონაწილეობის კოეფიციენტის კომპენსაცია მოახდინონ .

საკმაოდ კრიტიკულად განიხილავს გლობალიზაციის შედეგებს ჯოზეფ სტიგლიცი თავის წიგნში “გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება”(2002) მისი მოსაზრებით, გლობალიზაციამ სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება უკეთესობისაკენ ვერ შეცვალა. ბევრი არაფერი გაკეთებულა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გარემოს დაცვის თვალსაზრისით. გლობალიზაციამ ვერც გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობას შეუწყო ხელი. კომუნიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ძალიან არასწორად წარიმართა. ჩინეთის, ვიეტნამისა და აღმოსავლეთი ევროპის რამდენიმე ქვეყნის გარდა, სიღარიბემ ძალიან მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, შემოსავალი კი საგრძნობლად შემცირდა. მთავარი პრობლემაა არა თავად ინსტიტუტები, არამედ დამოკიდებულება: გარემოს დაცვა, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანებისათვის მათთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა. დემოკრატია და სამართლიანი ვაჭრობა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ გლობალიზაციის დადებითი მხარეებით სარგებლობა ყველამ შეძლოს. პრობლემა ის არის, რომ ეს ინსტიტუტები იმათ პოზიციას გამოხატავენ, ვისთანაც პასუხისმგებლები არიან. ცენტრალური ბანკის მმართველის

ტიპური დღე ინფლაციის სტატისტიკაზე ფიქრით იწყება და არა სიღარიბის მაჩვენებელზე, ვაჭრობის მინისტრები ექსპორტთან დაკავშირებული ციფრებზე ლელავენ და არა დაბინძურების მაჩვენებლებზე . სამყარო რთულია. საზოგადოების თითოეული ნაწილი რეალობის იმ ნაწილზეა ფოკუსირებული, რომელიც მას ყველაზე მეტად ეხება. დასაქმებული ადამიანები სამუშაო ადგილებსა და ხელფასებზე ლელავენ, ფინანსისტები პროცენტებსა და დასაბრუნებელ ფულზე. მაღალი საპროცენტო განაკვეთი მომგებიანია კრედიტორისათვის იმ შემთხვევაში, თუ ფულს უხდიან. მაგრამ დასაქმებული ადამიანებისათვის მაღალი საპროცენტო განაკვეთი ეკონომიკის განვითარების შეფერხებასა და ამის შედეგად უმუშევრად დარჩენას ნიშნავს. ფინანსისტისათვის, რომელმაც ფული გრძელი ვადით გაასესხა, მთავარ საფრთხეს ინფლაცია წარმოადგენს. ინფლაცია ნიშნავს, რომ დოლარები, რომლებითაც სესხს დაუბრუნებენ, გასესხებულზე ნაკლები ღირებულების იქნება.

ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის კონსტიტუციად, მოქალაქეებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა და დაცვა, თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, უსაფრთხოება, კულტურული მრავალფეროვნება, თანამშრომლობა და შემწყნარებლობა ის ფუნდამენტური ღირებულებები რაზეც ევროპული ინტეგრაცია არის აგებული, ეს ყველაფერი წევრი ქვეყნებს შორის ურთიერთობების საფუძველია; ხოლო საჯარო პოლიტიკა ეფუძნება მათ და მათი განხორციელება ყველა ქვეყნის საერთო მიზანია .

მიგრაცია არის ადამიანთა გადაადგილება მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ახალ საცხოვრებელ ადგილას. სამოქალაქო განთლების ლექსიკონში მის შემდეგ განმარტებას ვხვდებით: „ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას. საზღვრის გადამკვეთთა მცირე ნაწილს თავშესაფრის

მაძიებლები შეადგენენ. ესეც მიგრაციის ერთ-ერთი სახეა³.ეს ნაკადები ცვლის მიგრანტთა მიმღები ადგილების მოსახლეობას. რაც შეეხება ერთი ქვეყნიდან მეორეში მიგრაციას ამ გადაადგილებას საერთაშორისო მიგრაცია ეწოდება და იგი გლობალიზაციის შედეგია. ადამიანებს რომლებიც ტოვენებ საკუთარ სამშობლოს ემიგრანტები ეწოდებათ, ხოლო ადამიანები რომლებიც ბრუნდებიან სამშობლოში იმიგრანტები. ქვეყანაში ადამიანთა გადაადგილების პროცესს კი იმიგრაცია ეწოდება.განვითარებულ ქვეყნებში მიგრანტთა რაოდენობის ზრდა დიდი შვებაა ამ ქვეყნებისთვის, სადაც მოსახლეობის და, შესაბამისად, მუშახელის ნაკლებობაა. მიგრანტების რაოდენობის ზრდა განვითარებული ქვეყნების მოხუცთა იმედებსაც ასაზრდოებს - სოციალური დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განვითარებად ქვეყნებს კი, სადაც მოსახლეობის სიჭარბეა, მიგრაცია მართლაც რომ შვებას ჰგვრის. მეორე მხრივ, მიგრანტები ოჯახის წევრებისთვის, ბუნებრივია შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. თანამედროვე მიგრაციას მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორიც განაპირობებს, რომელიც ასევე რამდენიმე ასპექტს მოიცავს: პირველი არის დემოგრაფიული ფაქტორი: ევროპის მოსახლეობა იკლებს და ბერდება. ამიტომ იქ მოთხოვნა დიდია როგორც მაღალკვალიფიციურ, ისე დაბალკვალიფიციურ მუშახელზე. სხვა მხრივ რომ შევხედოთ, ბევრ ქვეყანაში ძალიან მაღალია მოსახლეობის რაოდენობის ზრდის კოეფიციენტი; განსაკუთრებით აფრიკაში და სამხრეთ აზიასში, ეს ქვეყნები მუშახელის წყაროს წარმოადგენენ. როცა განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს თავიანთ ქვეყნებში სამუშაო აქვთ, მაგრამ უკეთესი შემოსავალი უნდათ ეს სწორედ ერთერთი მიზეზია რის გამოც ისინი ხდებიან მიგრანტები. რაც შეეხება მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებს განვითარებულ ქვეყნებში, შესამჩნევად დაბერების ტენდენცია ან საზოგადოებას აღარ აქვს სურვილი შეასრულოს დაბალკვალიფიციური ან დაბალანაზღაურებადი სამუშაო ამ პრობლემის გადაჭრის გზა მუშახელის უცხოეთიდან მოზიდვაა, რითაც შესაძლებელი გახდებოდა მოსახლეობის გადიდება და მისი

³ სამოქალაქო განთლების ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>

გადახალისება. ამისთვის კი განვითარებულ ქვეყნებს საიმეორაციო კანონების შეცვლა შეიძლება მოუწევთ რომლებიც დღესდღეისობით მაინც კონტროლის საგნადაა ქცეული.

როდესაც შრომით მიგრაციას ვეხებით საქმე გვაქვს დაბალი და მაღალი კვალიფიკაციის ადამიანთა მიგრირებასთან. მაღალი კვალიფიკაციის მოსახლეობის მიგრაციას (მეორე მსოფლიო ომის შემდგომ) მეცნიერულ ენაზე „ტვინების გადინება“ ეწოდა. ის იშიფრება როგორც, ინტელიგენტი მოსახლეობის ადამიანური კაპიტალის დანაკარგი ან გადინება. მოსახლეობას რომელსაც გააჩნია დიდი რაოდენობით ადამიანური კაპიტალი, გააჩნია ეკონომიკის განვითარებისთვის კარგი პერსპექტივები. გარდა იმ ადამიანური კაპიტალისა მასთან ერთად იკარგება ის სახსრები რაც ჩაიდო მათ განათლებაში და ტრენინგებში. მაღალი კვალიფიკაციის ადამიანთა შემცირება თავისთავად ზრდის არაკვალიფიციური მუშახელის ხელფასებს რასაც თავისთავად მიყვარათ საერთო კეთილდღეობის ნაწილობრივ ზრდასთან. ეკონომიკური შედეგების გარდა ამ ყველაფერს შეუძლია გამოიწვიოს პოლიტიკური და სოციალური ნაკლოვანებები. კორუფციის საფრთხე, ცუდი მთავრობა და ზოგადი არასტაბილურობა ფულადი სახსრების არ არსებობის გამო.

2. რატომ და სად გადაადგილდება მოსახლეობა, ზოგადი სტატისტიკა და მონაცემები

„მიგრანტები და ლტოლვილები არ არიან პაიკები კაცობრიობის საჭადრაკო დაფაზე. ისინი არიან ბავშვები, ქალები კაცები, ვინც ნებით ან იძულებული დატოვეს საკუთარი საცხოვრებელი სხვადასხვა მიზეზების გამო და რომელთაც აერთიანებთ სამართლიანი მისწრაფება იცოდნენ და ჰქონდეთ იმაზე მეტი ვიდრე არიან.“⁴

ზოგჯერ მიგრაცია ეს არის ადამიანის არჩევანი გადადგას ნაბიჯი უკეთესი ცხოვრებისკენ ეს გზა კი სხვა ქვეყნის საზღვრებს იქით ისახება, ხანდახან კი ეს მათგან დამოუკიდებლად მიღებული იძულებითი გადაწყვეტილებაა. საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბები იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს მოვლენა გლობალურ კონტექსტში განვიხილოთ. თუ მსოფლიო ინტერნაციონალური მიგრანტები იცხოვრებდნენ ერთ ქვეყანაში, ეს მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ქვეყანა იქნებოდა დაახლოებით 244 მილიონი ადამიანით. ჯამში, ინტერნაციონალური მიგრანტები მსოფლიო მოსახლეობის 3.3%-ს ადგენენ⁵. ამ ნაკადებში შრომითი რესურსების მიგრაცია ყველაზე მეტადაა დაკავშირებული მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პროცესთან. ადამიანთა გადაადგილება არის გლობალიზაციის გარდაუვალი შედეგი რაც გამოწვეულია გადაადგილების გზების გაუმჯობესებით, გაიაფებით და ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. მიგრაცია, ეს არ არის ის პრობლემა რომელიც ცოტა ხნის წინ წარმოიშვა და დადგა დღის წესრიგში. მსოფლიოში სამხრეთ და აღმოსავლეთ ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენამ, რომელსაც თან ახლავს საომარი ოპერაციები გამოიწვია კოლოსალური მასშტაბების მიგრაცია, რომლებიდანაც თავშესაფრის მისაღებად ბევრი ადამიანი მიმართავს ევროპის ქვეყნებს. ისინი მოითხოვენ დაცვას რადგან მათ არ შუძლიათ დაბრუნდნენ საკუთარ ქვეყნებში ხოლო ევროპას კი აქვს

⁴ Migrants and refugees are not pawns on the chessboard of humanity. They are children, women and men who leave or who are forced to leave their homes for various reasons, who share a legitimate desire for knowing and having, but above all for being more.” - Pope Francis, World Day of Migrants and Refugees (2014)

⁵ Connor P. pew research Center, DECEMBER 15, 2016

სამართლებრივი და მორალური ვალდებულება დაიცვას ეს ადამინები და ასევე ისინი პასუხისმგებელნი არიან თავშესაფრის აპლიკაციების შესწავლაზე და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. კერძოდ, კომისია მუდმივად მუშაობს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბავშვთა დაცვის ადეკვატური ღონისძიებები. ეს გახდა სულ უფრო აქტუალური საკითხი, რადგან მიგრირებული ობოლი ბავშვთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. მაგრამ ყველას ვინც ჩადის ევროპაში არ სჭირდება დაცვა, ბევრიმა მათგანმა დატოვა სახლები იმის გამო რომ გაეუმჯობესებინა საკუთარი ცხოვრება. ეს ადამიანები მიჩნეულნი არიან ეკონომიკურ მიგრანტებად ამ დროს ყვეყანა ვალდებულია ნებაყოფლობით ან იძულებით დააბრუნოს ეს ადამინები მშობლიურ ქვეყანაში ან ისეთ ქვეყნებში გადაადგილონ რომლებიც მათ მიიღებენ.

ძირითადად ზოგიერთი ღარიბი და ნაკლებად სტაბილური ქვეყნების მაცხოვრებლები, როგორცაა უგანდა, ლიბანი და პაკისტანი ხდებიან ყველაზე გრძელვადიანი და სტაბილური მასპინძლები მსოფლიოში არსებული ლტოლვილებისთვის.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით, თურქეთი ლტოლვილების რაოდენობით, ამჟამად ერთერთ წამყვან ადგილს იკავებს, 3.5 მილიონი დევნილით, მას მოყვება უნაგდა და პაკისტანი 1.5 მილიონი დევნილით. მთლიანობაში, ლტოლვილთა 57% მოდის მხოლოდ სამი ქვეყნიდან: სირია (6.3 მილიონი) ავღანეთი (2.4 მილიონი) და სამხრეთ სუდანის (2.3 მილიონი). იმავდროულად, 2017 წელს კოლუმბიაში იძულებით გადაადგილებული პირების უდიდესი რაოდენობაა - 7.6 მილიონი.

მაგრამ, ხშირად ბევრი ლტოლვილი ცდილობს თავი აარიდოს აღწერებს. მაგალითად, ოფიციალური ციფრები, როგორც წესი, არ ითვალისწინებს პალესტინელ ლტოლვილებს, რადგან ისინი არ შედიან გაეროს ლტოლვილთა კონკრეტულ მანდატში. ცალკე შეთანხმება მიღწეული იქნა მათ დასახმარებლად, როდესაც 1951 წლის

ლტოლვილთა კონვენცია იქნა შედგენილი, კერძოდ, იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა ის უარყოფითი მოვლენები, რაც თან ახლავს ადამიანთა მუდმივ გადაადგილებას. პალესტინის ლტოლვილების რაოდენობა დამოკიდებულია ინფორმაციის გადმომცემ წყაროზე, მაგრამ მერყეობს 5.3 მილიონ და 6.5 მილიონს შორის - მთელს მსოფლიოში სამი დევნილისგან 1 პალესტინელია. სამწუხაროდ, გასულ თვეში აშშ-მ გამოაცხადა, რომ ის პალესტინის ლტოლვილთა მთავარ პროგრამაზე დაფინანსებას წყვეტდა.

რამდენი ხანი რჩება ადამიანი ლტოლვილად და დევნილად?

მასიურად ხდება არა მარტო ლტოლვილთა რაოდენობის სათანადოდ შეუფასებლობა, არამედ იმ დროისა, რომელსაც ისინი გაატარებენ ლტოლვილთა ბანაკებში, ხოლო ამ სიტუაციას ისევ „დროებითს“ უწოდებენ. აქ შევხვდებით პალესტინელ ლტოლვილებს რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ქვეყანა 1948 წელს და დასახლებულიყვნენ სირიის ლტოლვილთა ბანაკში, ასევე ეთიოპიელ დევნილებს რომლებიც სუდანის ბანაკში ცხოვრობენ 1960 წლებიდან, არ უდან დაგვავიწყდეს ავღანელი დევნილებიც რომლებიც ოაკისტანში არსებულ ბანაკებში ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის შემოჭრის შემდეგ 1979 წლიდან და ეს სია ისევ გრძელდება. უფრო მეტიც, ბევრი ქვეყანა, საიდანაც დიდი ოდენობით ადამიანი იძულებული იყო დაეტოვებინა ქვეყანა კონფლიქტის გამი - როგორცაა სირია, სამხრეთ სუდანი, ერაყი და იემენი - ასევე არიან მასპინძელი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისთვის.

როგორც მოგვეხსენება ინტერნაციონალური მიგრანტები არ ცხოვრობენ ერთ ქვეყანაში, პირიქით ისინი მიმოვანტული არიან მსოფლიოში. ყველაზე დიდი რიცხვი ასეთი მიგრანტების წარმოშობით არიან ინდოეთიდან (15.6 მილიონი), მექსიკიდან (12.3 მილიონი), რუსეთი (10.6 მილიონი), ჩინეთი (9.5 მილიონი) და ბანგლადეში (7.2 მილიონი). რაც შეეხება დანიშნულების ქვეყნებს ყველაზე მოთხოვნადი ამერიკის შეერთებული შტატებია, ყოველი ხუთი მიგრანტიდან ერთი ირჩევს შტატებს (45.6 მილიონი). სხვა ყველაზე მოთხოვნად ქვეყნებს შეადგენენ: გერმანია (12 მილიონი),

რუსეთი(11.6 მილიონი), საუდის არაბეთი (10.2 მილიონი) და გაერთიანებული სამეფო (8.5 მილიონი)⁶. მაგრამ, ეს რიცხვები მთელ სურათს ვერ გადმოგვცემს. მაგალითად, სანამ ამერიკა მოაზრება ყველაზე მეტი იმიგრანტის მყოფე ქვეყანად, ამ ქვეყნის მხოლოდ 14% არის უცხოეთში დაბადებული. ეს წილობრივი მაჩვენებელი ბევრად დაბალია ვიდრე სპარსეთის ყურის ქვეყნებში, როგორცაა არაბეთის გაერთიანებული საემიროები, კატარი და ქუვეითი, სადაც ყოველი სამიდან ერთი არის ინტერნაციონალური მიგრანტი. უფრო მეტიც ტოპ დანიშნულების ადგილებში შემავალ ავსტალიას(28% უცხოეთში დაბადებული) და კანადას (22% უცხოეთში დაბადებული) ჰყავს ბევრად უფრო დიდი იმიგრანტთა წილი მათ ჯამურ მკვიდრ მოსახლეობაში ვიდრე ამერიკას.⁷

საერთაშორისო მიგრანტთა აბსოლუტური რაოდენობა ბოლო 50 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, დაახლოებით 79 მილიონიდან 1960 წელს, თითქმის 250 მილიონი 2015 წელს, 200% -ით გაიზარდა. მოსახლეობის ზომიდან გამომდინარე დღეს ბევრად მეტი საერთაშორისო მიგრანტია.

მიგრაციის ზეგავლენა დიდია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე მეტად გამოყენებად მიგრანტ დერეფანთა ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, მექსიკა-აშშ. მიგრაციის დერეფანში ბოლო ათწლეულების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ გადასალახია. დღეს, დაახლოებით 12 მილიონი ადამიანი დაიბადა მექსიკაში ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს რიცხვი ბოლო წლებში შემცირდა, რადგან წმინდა ნაკადები შეცვლილია, უფრო მეტი მექსიკელი ლტოლვილი ტოვებს აშშ-ს ვიდრე შედის. ასევე, აშშ-ში არასანქცირებული მექსიკელი ემიგრანტების უარი ეთვათ შესვლაზე 2007 წლიდან 2014 წლამდე მათი რიცხვი 1 მილიონს შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ არასანქცირებული ემიგრანტების საერთო რაოდენობა 11.1 მილიონზე დასტაბილურდა. აშშ-ში მექსიკელების მიგრაციის შემცირების მიუხედავად, მექსიკა მნიშვნელოვანი

⁶ Pew research Center analyse , 2018.

⁷ pew research Center analyse, 2016

სატრანზიტო ქვეყანა აშშ-ისთვის და სხვა ლათინო-ამერიკელებისთვის. მიგრანტების დიდი რაოდენობა შეედინება ამერიკაში კუბიდან მექსიკის გავლით.

2015 წლისთვის, დაახლოებით 3.5 მილიონი ინდივიდი ცხოვრობდა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, მსოფლიოს მეორე უდიდესი მიგრაციის დერეფანში. განსხვავებით მექსიკა-აშშ დერეფანისა, არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების მცხოვრებთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული ათწლეულის მანძილზე, 1990 წელს 2 მილიონიდან 2015 წელს 8 მილიონამდე. ძირითადი მასა მიგრირებულია ეკონომიკური შესაძლებლობების გამო ნავთობით მდიდარ ქვეყნებში. ახლო აღმოსავლეთში ყველაზე სწრაფად მზარდი მოსახლეობაა. ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარედან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა შუა აღმოსავლეთში რიცხვი გაორმაგდა გასული ათწლეულის განმავლობაში, 2005 წელს 25 მილიონიდან 2015 წელს 54 მილიონამდე.

ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებიც გადაკვეთენ საერთაშორისო საზღვრებს დევნის, ომისა და ძალადობისგან დაცვის მიზნით. მათი საერთო რაოდენობა 50 წლის წინ გაიზარდა. პალესტინელი ლტოლვილების ჩათვლის გარეშე, 1960 წელს მსოფლიოში დაახლოებით 1.7 მილიონი ლტოლვილი ცხოვრობდა, ხოლო 2015 წელს 16 მილიონი ლტოლვილი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თანახმად. თუმცა 2015 წლისთვის ლტოლვილების რიცხვი ოდნავ ნაკლებია, ვიდრე 1990-იანი წლების დასაწყისში ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ. 2015 წლისთვის ლტოლვილთა რაოდენობა მხოლოდ საერთაშორისო მიგრანტების დაახლოებით 8% -ს შეადგენს.

2011 წელს სირიის კონფლიქტის დაწყების შემდეგ იძულებით დევნილთა რაოდენობა დრამატულად გაიზარდა. სირიაში დაიბადა მსოფლიოს მიგრირებული მოსახლეობის 1/5, ან 12.5 მილიონი ადამიანი. კოლუმბიაში იმავდროულად, უფრო მეტი დევნილია ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში: თითქმის 7 მილიონი, რომელთა

უმრავლესობა იძულებით გადაადგილებულია ქვეყნის ათწლეულების მანძილზე გაწეული კონფლიქტის გამო⁸.

⁸ გაეროს მიგრანტთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემები, 2015

3. მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

„მიგრაცია ყოველთვის იყო ადამიანთა პროგრესის და დინამიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა.“⁹

გვეზადება კითხვა რატომ უჩნდება ერთ ქვეყანას მიიღოს მიგრანტთა ის ნაკადი რომელზეც სხვამ უკვე უარი თქვა? ამის მიზეზი მხოლოდ ერთია, მიგრაციას გააჩნია როგორც უარყოფითი ისე დადებითი მხარეები და როდესაც ქვეყანა თანხმდება მიიღოს უცხო ქვეყნის მოსახლეობა ისინი მათ ეკონომიკური სარგებლის მისაღებად გამოიყენებენ. ყველა ქვეყანას როდი შეუძლია მიგრანტები მათთვის სასურველ ძალად გამოიყენოს, შესაბამისად ის ქვეყნები რომელზეც მათ ვერც გამოიყენებენ და ვერც მათ მიღებაზე ამბობენ უარს დგებიან უდიდესი პრობლემის წინაშე და ეს ადამიანები მათთვის მხოლოდ ზედმეტ ტვირთად იქცევიან. კულტურათა ამ თავმოყრამ (შეტაკებამ) შესაძლოა სისხლიან შედეგებამდე მიგვიყვანოს.

არის ემიგრაცია კარგი ან ცუდი? ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ემიგრანტების ნაკადები საზღვრების გადაკვეთის შემდგომ იპარავენ სამუშაო ადგილებს, გადასახადების გადამხდელებს ტვირთად აწვება და ადგილობრივ კულტურას საფრთხეს უქმნის. სხვები კი ამბობენ საპირისპიროს, მათი აზრით, იმიგრაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, აკმაყოფილებს უნარიან დეფიციტს და ქმნის უფრო დინამიურ საზოგადოებას.

მტკიცებულება ნათლად აჩვენებს, რომ ემიგრანტებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ. თუმცა, არსებობს ადგილობრივი და მოკლევადიანი ეკონომიკური და სოციალური ხარჯები, როგორც ვაჭრობასთან ერთად იზრდება პროტექციონური ინსტიტუტები, რაც ღია საზოგადოებას უფრო მეტად აძლიერებს. მაგრამ, მთავარი დადებითი როლი რომელსაც ემიგრანტები ეკონომიკაში ტამაშობენ ხშირად წალეკილია იმ თავდაცვითი ზომებით, რომელითაც მიგრანტებს აკავებენ ქვეყნის გარეთ. გამოსავალი

⁹ “Migration has always been one of the most important drivers of human progress and dynamism” Professor Ian Goldin, Oxford Martin School

უნდა მოიძებნოს პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც საშუალებას მისცემს სარგებელს დააკომპენსიროს მიღებული დანაკარგები.

მთელს მსოფლიოში დაახლოებით 230 მილიონი მიგრანტია, რაც გლობალური მოსახლეობის დაახლოებით 3% -ს შეადგენს. ეს ბოლო მონაცემები 100 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. მაგრამ, როგორც მსოფლიოს მოსახლეობა გაოთხმაგდა, ასევე გაოთხმაგდა მიგრანტთა რაოდენობაც. 1900-იანი წლების დასაწყისიდან, ქვეყნების რაოდენობა 50-დან 200-მდე გაიზარდა. მეტი საზღვრები უფრო მეტ მიგრანტს ნიშნავს. დაახლოებით 15 მილიონი მიგრანტის გლობალური წლიური ნაკადების მიხედვით, ისინი ყველაზე მეტად ოთხ კატეგორიად იყოფიან: ეკონომიკური (6 მილიონი), სტუდენტი (4 მილიონი), ოჯახური (2 მილიონი) და ლტოლვილი / თავშესაფრის მაძიებელი (3 მილიონი). მსოფლიოში დაახლოებით 20 მილიონია აღიარებული ლტოლვილად, რომელთა 86% შეიფარა მეზობელმა ქვეყნებმა. აშშ-ში, დოკუმენტურად აღრიცხული ემიგრანტების მესამედს აქვს კარგი უნარ-ჩვევები. მსგავსი ტენდენციები არსებობს ევროპაში. ეს მაჩვენებლები ასახავს იმ ეკონომიკის საჭიროებებს. რომლის მიხედვითაც მთავრობები უფრო ღია იმიგრაციისთვის ხელს შემწყობ პოლიტიკას აწარმოებენ. რადგან ეს ადგება მათი ქვეყნის ბიზნესს, რაც უფრო სწრაფს, მოქნილს და მომგებიანს ქმნის ქვეყნას ტალანტების ომში. მთავრობები, თავის მხრივ, უფრო მეტ შემოსავალს მიიღებენ და მოქალაქეები წარმატებას აღწევენ იმ დინამიკაზე, რომელსაც მაღალკვალიფიციურ მიგრანტებს მოაქვთ. თუმცა აშშ-ში და ასევე სხვაგანაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არამხოლოდ მაღალკვალიფიციური მიგრანტებია, არამედ არაკვალიფიციური ემიგრანტებმაც აქტიურად არიან მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თუ ემიგრანტები ასეთ სასიცოცხლო როლს ასრულებენ, რატომ არის ასეთი შემფოთება? ზოგი ფიქრობს, რომ ემიგრანტები სამუშაო ადგილებს იკავებენ და ეკონომიკას ანადგურებენ. როგორც მტკიცებულებები გვიჩვენებს ეს არასწორია. შეერთებულ შტატებში ემიგრანტები იყვნენ ისეთი კომპანიების დამფუძნებლები, როგორცაა Google, Intel, PayPal, eBay და Yahoo! სინამდვილეში, მაღალკვალიფიციური

ემიგრანტებისგან შედგება სილიკონის ველის ნახევარზე მეტი და პატენტების ნახევარზე მეტი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 15% -ზე ნაკლებნი არიან. ნობელის პრემიის ლაურეატი, სამეცნიერო ნაციონალური აკადემიის წევრები და აკადემიის ჯილდოს მფლობელები, რეჟისორები სამჯერ მეტჯერ იყვნენ, ვიდრე მკვიდრი მოსახლეობა მოელოდა. სან ფრანცისკოს ფედერალური სარეზერვო ბანკის კვლევებმა დაასკვნა, რომ "ემიგრანტებმა გააფართოვეს ეკონომიკის პროდუქტიული შესაძლებლობები საინვესტიციო სტიმულირებისა და სპეციალიზაციის ხელშეწყობით, რაც ეფექტურობის და შემოსავლის გაზრდას ემსახურება".

კვლევები არაერთხელ გვიჩვენებს, რომ მიგრანტებსა და ლტოლვილებს დიდი შემოსავლის მიღება შეუძლიათ, თუ ნებადართულია მუშაობა და სიმდიდრის გენერირება. კაკუას ლტოლვილთა ბანაკი კენიაში კარგი მაგალითია. მსოფლიო ბანკის მიერ 2016 წლიდან ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ლტოლვილის ყოფნის შედეგად კენიის რეგიონის თურკანას მთლიანი რეგიონალური პროდუქტი 3.4%-ით გაიზარდა. „ლტოლვილთა ყოფნა ასევე ზრდის მოხმარებას, თვითრეგისტრირებულ შემოსავლებს და ასევე აქტივებს მასპინძელი თურკანას მოსახლეობაში“¹⁰ აღნიშნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წევრმა მელისა ფლემინგმა.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ახალი, 2018 წლის კვლევამ ეს ბანაკი შეაფასა კერძო სექტორის საინვესტიციო ბაზრად. ამ ბანაკის მოსაზღვრე ქალაქი \$56 მილიონადაა შეფასებული და იმ ქალაქში არსებული კერძო სექტორის ბიზნესის და 2000-ზე მეტი მაღაზიის მამოძრავებელი ძალა სწორედ ეს მიგრანტები და ადგილობრივი კენიელები არიან.

კვლევა ემიგრაციის ქსელის ფისკალური გავლენის შესახებ გვიჩვენებს, რომ ემიგრანტები იმაზე ბევრად მეტ გადასახადს იხდიან, ვიდრე მათგან სარგებლისა და მომსახურებას იღებენ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, განვითარებული ქვეყნების

¹⁰ "Refugee presence also led to increased consumption, self-reported incomes, and asset ownership of the host Turkana population," said Melissa Fleming of UNHCR.

იმიგრაციის 3% -ით გაზრდის შედეგად გლობალური ეკონომიკური მოგება 356 მილიარდი დოლარით იზრდება. ზოგიერთი ეკონომისტი პროგნოზირებს, რომ თუ საზღვრები მთლიანად ღიაა და მუშებს მიეცათ საშუალება წასულიყვნენ, სადაც გაუხარდებოდათ, 25 წლის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკის მოგება 39 ტრილიონ დოლარს მიაღწევდა. მომავალში, კიდევ უფრო აუცილებელი გახდება უცხოელი მუშების მიერ გაღებული ძლიერი შრომის მიწოდება. გლობალურად, მოსახლეობა დაბერებულია. 1950 წელს 80 წლეს გადაცილებული მხოლოდ 14 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. დღესდღეობით 100 მილიონზე მეტია და ამჟამინდელი პროგნოზები მიუთითებენ, რომ 2050 წლისთვის დაახლოებით 400 მილიონი ადამიანი იქნება 80-ზე მეტი წლის.

თუმცა, არსებობს ლეგიტიმური შეშფოთება ფართომასშტაბიანი მიგრაციის შესახებ. სოციალური გადაადგილებლობის შესაძლებლობა რეალურია. გლობალიზაციის მსგავსად ძლიერი სამუშაო ძალის გადაადგილება არამატერიალური და საკმაოდ გაფანტულია, სანამ ნეგატიური ასპექტები მცირედ დაყოფილ ჯგუფებზე დიდ გავლენას ახდენს. დიახ ეს ნეგატიური ასპექტები უნდა დარეგულირდეს. მაგრამ ეს რეგულაცია უნდა მოვიდეს იმის აღიარებასთან ერთად, რომ მიგრაცია ყოველთვის იყო ადამიანთა პროგრესის და დინამიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. იმიგრაცია კარგია და გლობალიზაციის პერიოდში მიგრაციაზე დაწესებული ბარიერები საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ ზრდას და მდგრადობას.

თავისუფალი მიგრაცია, ისევე როგორც სრულიად თავისუფალი ვაჭრობა, რჩება უტოპიური პერსპექტივა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რეგიონში (მაგალითად, ევროპაში) ეს რეალურია. როგორც ჯონ სტიურტ მილი ამტკიცებდა, ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ მიგრაციის ადგილობრივი და მოკლევადიანი სოციალური ხარჯები არ აკნინებს მის როლს იყოს "პროგრესის ერთ-ერთ ძირითადი წყარო".

ცხრილის სახით ჩამოვაცალიბოთ ის დადებითი და უარყოფითი მხადეები რაც გააჩნია მიგრაციას მოსახლეობის მიმღებ და გამცემ ქვეყნებში.

ქვეყანა რომელიც კარგავს მოსახლეობას :

ცხრილი 3.1.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
ფულადი სახსრები რომელსაც აგზავნიან მიგრანტები	სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის მიგრაცია ამცირებს ქვეყნის სამუშაო ძალას
სამუშაო ადგილებსა და რესურსებზე მოთხოვნის შემცირება	ხდება გენდერული დისბალანსი, რომელიც გამოწვეულია მამაკაცების მიგრაციით სამსახურის საშოვნელად ცოლ-შვილის დატოვების ხარჯზე
მიგრანტი შესაძლებელია დაბრუნდეს ახალი უნარჩვევებით	„ტვინთა გადინება“ როდესაც ხდება დიდი რაოდენობის ინტელიგენტი და განათლებული ადამიანების გადაადგილება სხვა ქვეყნებში

ქვეყანა რომელიც იღებს მოსახლეობას :

ცხრილი 3.2.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
უფერო მდიდარი და განსხვავებული კულტურის შექმნა	იზრდება ჯამრთელობის დაცვის და განათლების მომსახურების ფასები
ეხმარება შრომითი დეფიციტის შემცირებაში	მოსახლეობის რაოდენობის გადატვირთვა

მიგრანტები შეასრულონ დაბალ ანაზღაურებადი და დაბალ კვალიფიციური სამუშაოები	მზად არიან კონფლიქტების წარმოქმნა სხვადასხვა რელიგიის და კულტურის მოსახლეობაში
---	--

გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი დაბრკოლებები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მიგრანტებს, მათ შორისაა:

- უმუშევრობა ახალ ქვეყანაში
- რასიზმისა და კულტურული განსხვავებები
- ენის ბარიერები
- შესაძლებლობების ნაკლებობა

4. მსოფლიოში არსებული მიგრაციული პროცესების ძირითადი გამომწვევი მიზეზები

იძულებით გადაადგილებამ გამოიწვია ის, რომ მილიონობით ადამიანი რჩება უსახლკაროდ. ყოველ წუთას 20 ადამიანი არის იძულებული დატოვოს საცხოვრებელი და ამჟამად გლობალურად ჯამში ეს რიცხვი შეადგენს 65 მილიონს. აქედან 10 მილიონი სტატუსს არმქონეა და 22 მილიონი კი ლტოლვილია უცხო მიწებზე.¹¹

განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეგნებული აქვს განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრაციული პროცესების გავლენა მათ ეკონომიკაზე. ღარიბი ქვეყნების მოსახლეობას აქვს არა მხოლოდ ნაკლები კაპიტალი ვიდრე მდიდარ ქვეყნებს არამედ ნაკლები ცოდნაც. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ამჟამადაც განიცდიან ტრანსფორმაციას, დაბალი ხელფასები და პოლიტიკური ვითარება აიძულებს ასეთ ქვეყნების მოსახლეობას გადაადგილდნენ აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. წლების განმავლობაში, ევროკავშირმა და აშშ-მ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული საერთო თავშესაფრის ადგილის სახელი მიიღო. თავისუფალი გადაადგილების უფლება, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას, არამედ აგრეთვე გლობალიზაციის პროცესების განვითარების პირობას, აწყდება კონტროლის გაწევას სახელმწიფოების მხრიდან ადამიანთა გადაადგილებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა და შემადგენლობა. კაპიტალის, საქონლის, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის თავისუფალი გადაადგილების ფონზე “ადამიანები არიან უფრო ნაკლებად მობილურნი; ისინი ყოველთვის მიეკუთვნებიან რომელიმე სახელმწიფოს, დამოკიდებულნი არიან პასპორტებზე, ვიზებზე, ცხოვრების ნებართვაზე და შრომის ბაზრის კონიუნქტურაზე¹²“.

¹¹ „Forced migration has caused millions of people around the world to be uprooted, including refugees, internally displaced persons, and migrants. 20 people are forced to leave their home every minute and the global total of forcibly displaced people currently stands at over 65 million. 10 million of them stateless and 22 million are refugees in a foreign land.“ - Statistics courtesy of UNHCR

¹² Hirst P., Thompson G. Globalization and the Future of the Nation State//Economy and Society. p. 410. 1995

სწორედ ამის გამო ბოლო წლების გაანმავლობაში ევროპული მიგრაციის პოლიტიკა ხელს უწყობს საზღვრების გამკაცრებას. ევროკავშირის დიდ ნაწილში რომელსაც შენგენის ზონა ეწოდება, ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება შიდა საზღვრების კონტროლის გარეშე, მაგრამ მიგრანტების ნაკადის ზრდის გამო, ზოგიერთმა ქვეყანამ სხვა შენგენის ქვეყნებთან საზღვრების დროებითი შემოწმების აღდგენა გადაწყვიტა. რაც შეეხება აშშ-ს, ამჟამინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კრიტიკულად განიხილავს ქვეყანაში არსებულ მიგრანთა რიცხოვნობას და აქტიურად მუშაობს ასეთი ნაკადების კონტროლის მექანიზმების ამოქმედებაზე. რაც შეეხება აშშ-ს, 2017 Gallup გამოკვლევა აჩვენებს, რომ ამერიკელების 71% მიგრაციას დადებითად აფასებს. ერთი წლით ადრე არსებულ გამოკვლევაში, 84% -მა დაუჭირა უცხოენოვანი ემიგრანტებისთვის მოქალაქეობის მინიჭებას, თუ ისინი აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს. ცალკე ჩატარებულმა Gallup-ის გამოკვლევამ დაადგინა, რომ რესპუბლიკელებს შორის, მოქალაქეობის მინიჭების მხარდამჭერი მოსახლეობის წილი (76%) უფრო მაღალი იყო, ვიდრე სასაზღვრო კედლის მხარდამჭერი მოსახლეობის წილი (62%).

4.1 ევროპის ქვეყნებში არსებული მიგრაციის ნაკადების


მიმართულებები, თანამედროვე მიგრაციის კრიზისი ევროპაში

2015 წელს ევროპა ასევე განიცდიდა საკუთარ ლტოლვილთა კრიზისს, სირიელების, ავღანელების, ერაყელების და სხვა ქვეყნებში ძალადობისგან თავის დაღწევისთვის საჭირო უსაფრთხო თავშესაფარს წარმოადგენდა, დაახლოებით 1.3 მილიონი ლტოლვილი ევროკავშირის, ნორვეგიისა და შვეიცარიის ქვეყნებში თავშესაფრის მისაღებად ჩაბარდა ლტოლვილად. ევროკავშირმა დაარღვია გარიგება თურქეთთან 2016 წლის მარტში იმისთვის, რომ შეეზღუდა მიგრანტების მიღება ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარიგება თურქეთის მხრიდან საბერძნეთის მიმართულებით მიგრაციის შეჩერებას შეუწყობს ხელს, იტალია უკვე იძულებულია მიმდინარე წელს დევნილთა

რეკორდული რაოდენობა მიიღოს. იმავდროულად, ევროპული ქვეყნები კვლავ მუშაობენ მილიონობით ან მეტი თავშესაფრის განცხადების მიღებაზე.

თანამედროვეობაში ძირითადად მიგრაციის პოლიტიკური ნაკადები სირიის სამოქალაქო ომის შემდეგ იღებს სათავეს, 2 მილიონ ნახევარზე მეტი ადამინი ლტოლვილად იქცა, 9 მილიონამდე კი იძულებით გადაადგილებული პირია. გაეროს ინფორმაციით მსოფლიოში არსებული 60 მილიონი ლტოლვილიდან ყოველი მეხუთე სირიელია და ისინი 80%-ს შეადგენენ ევროპაში მყოფი ლტოლვილების. ბოლო წლების განმავლობაში მათი დიდი ნაწილი თურქეთსა და იორდანის ბანაკებში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა რომ არსებობს ისეთი ქვეყნები სადაც არის მათთვის გამოყოფილი თავშესაფრები იქმადე ტრანსპორტირების დროს მრავალი ლტოლვილი იღუპება. 2015 წლიდან ხმელთაშუა ზღვაში 2700-მდე მიგრანტი დაიღუპა ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება, მათ შორის არამხოლოდ სირია-ერაყის მოსახლეობა არამედ აფრიკის ქვეყნების მოსახლეობაც იყო.

დიაგრამა 4.1.1




წყარო: ევროსტატი

პირველ რიგში სირიაში არსებული კონფლიქტიდან მიგრირებული მოსახლეობა შეიძლება ჩავთვალოთ ამ ნაკადების წამყვან ძალად, მაგრამ მიმდინარე ძალადობრივი ქმედებები ავღანეთში და ერაყში, ასევე სიღარიბე კოსოვოში თუ სხვა ქვეყნებში უბიძგებს მოსახლეობას ეძებენ ახალი საცხოვრებელი ადგილები. დიაგრამა 4.1.1 წარმოდგენილია 10 ყველაზე აქტიური ქვეყანა რომელსაც ტოვებს მოსახლეობა.

მიგრაციის ნაკადებს ძირითადად ევროპის ქვეყნებისკენ აქვთ გეზი აღებული.

დიაგრამა 4.1.2.



წყარო ევროსტატი

განსაკუთრებით ისინი მიემართებიან შენგენის ზონის ქვეყნებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა ლტოლვილების მასშტაბური კრიზისის წინაშე პირველად 90-იან წლებში, იუგოსლავიის ომის პერიოდში, აღმოჩნდა, მეორედ კი

ახლა, სირიის სამოქალაქო ომიდან რამდენიმე წლის თავზე. თუმცა დღეს, ევროპა გაცილებით მძიმე სურათის წინაშე დგას. შენგენის ზონის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების მსურველთა რაოდენობა წელს, 2013-2014 წლებთან შედარებით, 60%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა რომ ევროპაში ჩამოსული მიგრანტების ნაწილი არ არჩევს თავშესაფრის მისაღებ ქვეყანას გერმანიამ 2015 წელს მაინც მიიღო ახალი თავშესაფრის განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა, 476,000-ზე მეტი. მაგრამ ბევრად უფრო მეტი ადამინი ჩამოვიდა ქვეყანაში- გემრანიის ოფიციალური პირები ამბობდნენ რომ " EASY" სისტემის მიხედვით რომელიც აღრიცხავს თავშესაფრის მიღებამდე პირებს, ეს მონაცემები მილიონზე მეტს აღწევდა.

უნგრეთმა თავშესაფრის განაცხადების მიხედვით მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რადგან უფრო მეტი მიგრანტები საბერძნეთისა და დასავლეთ ბალკანეთის გავლით მოგზაურობდა. დეკემბრის ბოლოს 177,130 მას განაცხადი ჰქონდა. ის მიგრანტები რომლებიც საბერძნეთისკენ მიემართებოდნენ იქ თურქეთის გავლით კოსმოსის, ქისოს, ლესვოსა და სამოსის კუნძულებიდან პატარა ხის ნაგებით ხვდებოდნენ. საემიგრაციო კრიზისში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლოკაციას სერბეთი წარმოადგენს. ევროკავშირის არაწევრი და, თავის დროზე, მილოშევიჩის ულტრანაციონალისტური რეჟიმისგან განთავისუფლებული ბრატისლავა ლტოლვილებისთვის უსაფრთხო დერეფნად იქცა, საიდანაც სირიელი, ერაყელი და ავღანელი მიგრანტები ფეხით გადაადგილდებიან ქალაქ ტოვარნიკში, შემდეგ კი ავტობუსებით ზაგრების მიმართულებით მიემგზავრებიან. ხორვატიის დედაქალაქიდან მათ დასავლეთისკენ მიმავალი ორი გზა აქვთ სლოვენია, ან უნგრეთი. ლტოლვილების ნაკადის შემცირების მიზნით მეზობელი სახელმწიფოების გადაწყვეტილება საზღვრების ჩაკეტვასთან დაკავშირებით სერბეთის მთავრობამ 70 წლის წინათ ნაცისტების მიერ ებრაელების დევნას შეადარა.

დიაგრამა 4.1.3


2015 წელს დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა



მრითადი ერები რომლებიც ითხოვენ თავშესაფარს

-  1 სირია
-  2 ერიტრეა
-  3 ერაყი
-  4 ავღანეთი
-  5 ირანი

დაკმაყოფილებული განცხადებების მთლიანი რაოდენობა



წყარო: ევროსტატი



ზემოთ
გამოთქმული
მოსაზრებების
დამდასტურებელ
ფაქტად შეგვიძლია
მოვიყვანოთ ის
რიცხოვრივი
მონაცემები
რომელბსაც
ადგილი ჰქონდა
ევროპაში 2015
წელს მიგრაციის
დროს. 4.1.3

დიაგრამის ზედა ნაწილში არის რეიტინგის მიხედვით დალაგებული ის ქვეყნები რომლებიდანაც მოხდა ყველაზე მეტი ადამინის მიგრირება. ხოლო ქვედა ნაწილში მოცემულია იმ ქვეყნების რაოდენობრივი მონაცემები რომლებმაც მიიღეს თავშესაფრის მაძიებლები 2015 წლის მდგომარეობით.

4.1.1 თანამედროვე მიგრაციის კრიზისი ევროპაში

როგორ ხვდება მიგრანტებს ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა? ამაზე რათქუნდა არ გვაქვს ერთგვაროვანი პასუხი ადგილი აქვს როგორც აგრესიულ ქმედებას და დაპირისპირებებს, რომელბიც მიგრანტების გამო კრიმინოგენული სიტუაციის გაღვივებითაა გამოწვეული, ასევე ისეთ გამოსვლებს რომლებიც მიგრანტებისათვის

საზღვრების სრულიად გახსნას და მათთვის თავშესაფრის მიცემას ითვალისწინებს. ივან კრაცევი, ლიბერალური სტრატეგიების ცენტრის თავმჯდომარე ქალაქ სოფიაში და ვენის ჰუმანიტარული ინსტიტუტის წევრი, ასე ახასიათებს მიგრაციასთან დაკავშირებულ სიტუაციას: "მიგრანტების კრიზისი ევროპისთვის 11 სექტემბრის ტერაქტს წააგავს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ყველაფერი შეიცვალა. ამ დროს ამერიკამ თავისი სისუსტეების შესახებ აღმოაჩინა. მიგრანტებს ევროპაში მსგავსი შედეგები მოაქვთ. ეს კრიზისი ღრმად უთხრის ძირს დემოკრატიის, ტოლერანტობის და თავად ლიბერალიზმის იდეებს, რომლებმაც ჩვენი იდეოლოგიური ლანდშაფტი ჩამოაყალიბა."¹³

იტალიური გამოცემის Il Foglio –ის რედაქტორის გულიო მეოტის მიერ გამოცემულ სტატიაში “The Migrant Crisis Upended Europe“ ვკითხულობთ: „2014 წლიდან მოყოლებული, როდესაც მიგრანტების კრიზისმა თავი იჩინა, გერმანიაში ჩადენილი დანაშაულებიდან ნახევარზე მეტი სწორედ მიგრანტების მიერ განხორციელდა, როგორც ეს Heritage Foundation -ის კვლევებიდან ირკვევა. ეს წარმონაქმნი კრიზისის მთავარ მიზეზად იქცა და უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ევროპული უსაფრთხოებისთვის. მათი დაპყრობილი ტერიტორიებიდან, ისლამურმა სახელმწიფომ რამდენიმე მსხვილი ტერორისტული აქტის დაგეგმვა და მოწყობა მოახერხა.

აღნიშნული კრიზისი იქცა ასევე თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის სტრატეგიული გამლიერების საბაზად ევროპის მიმართ. იგი ევროპულ სახელმწიფოებს მუდმივად ახსენებს, რომ მისთვის საჭირო დათმობებზე არწასვლისა და ფულადი სახსრების გადაუხდელობის შემთხვევაში, გახსნის თურქეთის საზღვარს და გაუღებს კარს მილიონობით მიგრანტს ევროპისკენ. ერდოღანმა მხოლოდ ის კიარ მოითხოვა, რომ მწერლები და ჟურნალისტები დააკავონ, იგი ასევე ეცადა

¹³ კრაცევი ი, ლიბერალური სტრატეგიების ცენტრის თავმჯდომარე, ქ.სოფია.

ნიდერლანდებისა და გერმანიის არჩევნებში ჩარევას, რასაც აღნიშნულ ქვეყნებში თურქ მოსახლეობაზე მანიპულირებით ცდილობდა.“¹⁴

Pew Research-ის კვლევამ გვიჩვენა, თუ რაოდენ უცვლის ფორმას მიგრაცია ევროპის ქვეყნებს. მხოლოდ 2016 წელს, შვედეთის მოსახლეობა გაიზარდა 1%-ზე მეტით. ეს ზრდა მიგრაციითაა განპირობებული და რიგით მეორე ყველაზე მასშტაბური მოსახლეობის ზრდაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. 2015-2016 წლებში მიგრანტების რიცხვი შვედეთის სრულ მოსახლეობაში გაიზარდა 16.8%-დან 18.3%-მდე. ავსტრია და ნორვეგია, ორი ასევე მასშტაბურგი მიგრაციის ქვეყანა (მოსახლეობის 15% 2016 წლის მონაცემებით მიგრანტი იყო), ასევე მიგრაციის ხარჯზე 1%-ით გაიზარდა. გამოცემა იტალიაში მაკიაველის ცენტრმა გამოაქვეყნა კვლევა – "როგორ ცვლის იტალიის დემოგრაფიულ მდგომარეობას მიგრაცია", სადაც ნამდვილად ჩანს დემოგრაფიის უპრეცედენტო ძვრები, რომელსაც ადგილი აქვს მიგრაციის კრიზისიდან გამომდინარე.

როგორც ვიცით მთავრობა ვერ მიემხრობა ვერცერთ ამ რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებას და ევროპის ქვეყნების ლიდერები ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც ქვეყნისთვის დიდ ტვირთად დაწოლის გარეშე დააკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნებს. მაგრამ ჯერჯერობით ისევ არ არსებობს ისეთი შემუშავებული პოლიტიკა, რომლითაც ევროპის ქვეყნები იხელმძღვანელებდნენ, აი იმის მიზეზი მიზეზი რამაც ევროპის მიგრაციული კრიზისი უძლიერეს ქაოსურ პროცესების დაუსრულებელ ჯაჭვად აქცია.

¹⁴ Meotti G, The Migrant Crisis Upended Europe, November 6, 2017

4.1.2 მიგრაციის კრიზისის დაძლევის გზები

მიგრაციის კრიზისის დაძლევისთვის საჭიროა ქვეყანაში გატარდეს რიგი პოლიტიკური ქმედებები, უფრო კარგად გასააზრებლად განვიხილავთ ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მიგრანტთა მიმღებ ქვეყანის, გერმანიის მიგრაციულ პოლიტიკას.

მიუხედავად კონსერვატიული პარტიის ძლიერი ანტი-საიმიგრაციო პოზიციისა რომელსაც ტრადიციულად ძლიერი პოზიციები უკავია გერმანიის პოლიტიკაში, ამჟამინდელ მთავრობაში მემარჯვენეთა პარტია აქტიურად იყო დაკავებული საემიგრაციო კანონმდებლობის გადახედვით. ყოფილი მუშაკთა იმპორტიორი ქვეყანა ცდილობს ისეთი სტრატეგიის შექმნას, რომლითაც მოკლევადიანი რეაგირების ნაცვლად, რომელიც ძირითადად დაბალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტებს ეხმარებოდა, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება იქნება შესაძლებელი. ეს პოლიტიკის ცვლილებები ძირითადად არის მხარდაჭერილი ფედერალური შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2008-2009 წლებში. 2009 წლის მაისში გერმანიის მთავრობამ მოუწოდა ქვეყანას "ქმედება, რათა უზრუნველყოს საუკეთესო ტვინი გერმანიის შრომის ბაზარზე", რომელიც მოგვიანებით გადაიქცა შრომის მიგრაციის კონტროლის ახალ აქტად (შრომის და სოციალური საკითხების ფედერალური სამინისტრო). ახალი შრომითი მიგრაციის კონტროლის აქტი, რომელითაც მუშაობს გერმანიის საემიგრაციო სამართალი, მაღალკვალიფიციურ მუშაკებს ახალი წევრი სახელმწიფოებიდან (EU-12) და მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან უფლება აქვთ მოითხოვონ მუდმივი მოქალაქეობა გერმანიაში, რათქმაუნდა გარკვეულ პირობების დაცვით, რომლებიც მოითხოვება მიგრაციის მმართველი ორგანოს მიერ. ასეთი პირობები მოიცავს პროფესიულ ჩამონათვალს: გერმანიის დამსაქმებელს აქვს მინიმალური წლიური ხელფასი 66,000 ევრო. მაღალკვალიფიციური უცხოელი მუშაკთა საემიგრაციო სამართლის კანონის მე-19 მუხლით, მათ ასევე შეუძლიათ შეიძინონ ოჯახის წევრები ამ ქვეყანაში, რაც შეუძლებელი იყო ადრე გერმანიის საგარეო შრომითი მიგრაციის

პოლიტიკით, რომელიც დასრულდა 2003 წლისთვის მაღალკვალიფიციური უცხო ქვეყნის გრძელვადიანი მოთხოვნილებების უკეთ დასაკმაყოფილებლად. გერმანიის თანამედროვე პოლიტიკას გეზი აქვს აღებული ლიბერალური საემიგრაციო ეკონომიკისკენ, რადგან მათთვის მომგებიანია შემოიყავნოს კვალიფიციური სამუშაო ძალა უცხოეთიდან და გადაუხადონ მათ ის თანხა, რასაც გერმანულ არაკვალიფიციურ მუშახელში იხდიდა.

საერთო ჯამში, გერმანიის მთავრობის ამჟამინდელი საემიგრაციო პოლიტიკა არ ჩანს მიზანშეწონილი ბოლო ეკონომიკური კრიზისის ფონზე. მაგრამ გერმანიის მთავრობამ ახლახანს გადაიხედა კანონმდებლობას რომელიც ახლა უკვე უკეთესად აკონტროლებს უცხოელ ეკონომიკურ მიგრანტებს, ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს მიგრანტების გამოცდილების და ცოდნის გამოყენებას გერმანიის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისკენ. ეს მოითხოვს გრძელვადიან პერსპექტივების გამოთვლას და დაკვირვებებს მიგრანტების პოპულაციის ზემოქმედების შესაფასებლად საზოგადოებაზე და ეკონომიკაზე.

როგორც ვხედავთ გერმანიის მიგრაციული პოლიტიკა აშკარად განსხვავდება სხვა წევრი სახელმწიფოებისგან, რომლებიც მძიმედ დაზარალდნენ ამჟამინდელი კრიზისით და მიიღეს ზომები შრომითი მიგრაციის ნაკადების შესამცირებლად. არათანაბარი მაკროეკონომიკური განვითარება და საგარეო შრომითი მიგრაციის ისტორია გაფართოებული ევროკავშირის წევრ ეკონომიკებს, როგორც ჩანს, განსხვავებული შედეგებს აძლევს. მიუხედავად იმისა რომ გერმანიას შრომითი მიგრაციის შეზღუდული და პასიური მიდგომების ხანგრძლივი პრაქტიკა აქვს, ამ მიგრაციის ფონზე ადგილობრივი მოსახლეობის უმუშევრობის მაჩვენებელი მაინც არ გაზრდილა .

ექსპერტები გერმანიის ეროვნულ შრომით ბაზარზე პროგნოზირებენ, რომ მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებები მომავალი წლები შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის უარყოფითი განვითარების საწინდარი.ჯერჯერობით გერმანიაში მიგრაციის ზრდა არ ნიშნავს ნაკლებ სამუშაო ადგილს ადგილობრივი მოსახლეობისთვის,

მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილება ძირითადად სოციალურად შეუთავსებლობის და მასთან დაკავშირებული კონფლიქტებით არის გამოწვეული.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისთან მიმართებაში დაბალი კვალიფიკაციის მქონე დროებითი მუშაკების მიღება ევროკავშირის სტრატეგიული გათვლაა, რომელიც პოზიტიურ შედეგებს მოუტანს მას გრძელვადიან პერსპექტივაში. გერმანიას, რომელიც უპირისპირდება მისი ხანგრძლივ მიგრაციასთან ბრძოლის ორმაგ გამოწვევას ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობის და მეტი უცხოელი მუშების მოზიდვა მოუწევთ, რათა განახორციელოს შემდგომი რეფორმები არსებულ საიმიგრაციო პოლიტიკაში. ეს ნიშნავს უფრო ლიბერალური, მრავალფეროვანი სოციალურ-სამართლებრივი სისტემის მშენებლობას, რომელიც იზიდავს დიდი გამოცდილების მქონე უცხოური მუშახელს, რომელსაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა.

გერმანიაში არსებული გამოწვევები კიდევ უფრო ხაზს უსვამს ევროკავშირის ყველა წევრს უფრო აქტიური ძალისხმევის აუცილებლობას, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების დღის წესრიგის ამბიციურ მიგრაციასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად არის საჭირო. მდგრადი, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება და გლობალური კონკურენტუნარიანობა არ შეიძლება მიღწეული იქნა მრავალფეროვანი სამუშაო ძალის ეფექტური გამოყენების გარეშე და ამ ყველაფერს გერმანიის მთავრობა კარგად აცნობიერებს და ცდილობს ყველა ეს მოვლენა საკუთარი განვითარებისთვის გამოიყენოს.

რას ვიტყვით პოლიტიკურ რეაგირებაზე?

სავარაუდოდ მიგრაცია პოლიტიკურად ნაკლებად მისაღებია, ვიდრე ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. მთავრობების საწინააღმდეგო საემიგრაციო რეაგირება ევროპის მასშტაბით, ამერიკასა და ავსტრალიიდან საკმაოდ მკაფიო ნიშნებს გზავნის, რომ მათ შეუძლიათ კედლების აშენება, იმ ფრონტზე, რომლებიც ამ ქვეყნებში მშვიდ სამთხეს ეძებენ. „ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ დავინახეთ ქვეყნები

რომლებმაც თავად შესთავაზეს უსაფრთხო გარემო ლტოლვილებს, როგორებიც იყვნენ კენია სომალელი ლტოლვილებისთვის, ან პაკისტანი ავღანელი ლტოლვილებისთვის¹⁵ ამბობს ვალდე სიმონდი.

არსებობს დამატებითი გართულება, რომელსაც ქმნიან ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა დატბორვა ან გაუდაბნობა. 1951 წლის კონვენცია ამ ადამიანებს ლტოლვილებად არ აღიარებდა, მაგრამ, როგორც ლტოლვილთა უფლებების დაცვის პროგრამის დირექტორმა ბილ ფრელინმა თქვა: "თუ ვინმეს სიცოცხლე საფრთხეშია, ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა რითაა ეს გამოწვეული, იარაღით, მეწყერით თუ მიწისძვრით."¹⁶

არსებობს ისეთი ქვეყანა რომლის მთავრობაც ინარჩუნებს ღირსეულ მართველობას ასეთ მორევში? სამწუხაროდ პასუხი არის - არა.

გაერო ფორმალურად დათანხმდა გლობალურ შეთანხმებას 18 დეკემბერს მაროკოში გამართულ მიგრაციისადმი მიძღვნილ 18 თვიან მოლაპარაკებებს. პროტაგონისტები ამბობენ, რომ გარიგება მიგრაციისადმი უკეთესი, უფრო კოორდინირებული მიდგომას გვპირდება, თუმცა მოსალოდნელი შედეგები საკმაოდ დააზარალა აშშ-ს გამოთიშვამ მოლაპარაკების მიმდინარეობისას. ჯერჯერობით მიგრაციის საკუთარ გამარჯვებად გადაქცევა მხოლოდ გერმანიმ შეძლო მან სწორად მიმართა ეს ნაკადები და სრულიად მოახერხა ამ ადამიანების უნარების გამოყენება ქვეყნის განსავითარებლად.

¹⁵ „The last few years have seen quite threatening movements by countries that had offered refugees a relative degree of safety, Of Kenya towards its refugee Somali populations, for example, and of Pakistan towards its Afghan refugees.”
” said Valdez-Symonds, Amnesty UK refugee & migrant rights programme director

¹⁶ “If someone’s life is in danger, it really shouldn’t matter if it’s because of a gun or a landslide or earthquake.” Bill Frelick, Human Rights Watch’s refugee rights programme director

4.2 აშშ - მიგრანტების ქვეყანა

როდესაც ევროპიდან ამერიკაზე გადავინაცვლებთ მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ პირველად სწორედ ევროპული წარმომავლობის მოსახლეობამ დაუდო საფუძველი აშშ-ში მიგრაციას, რაც ისტორიულ კონტექსტში თავისი სპეციფიკური მიზეზებით აიხსნება, ხოლო მოცემული რიცხვები ნათლად ადასტურებს იმას, რომ აშშ მიგრანტებისათვის ყოველთვის სასურველ დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ საუკუნეების წინათ და დღესაც უამრავი მიგრანტი ცდილობს აშშ-ში ლეგალურად თუ არალეგალურად მოხვედრას.

ამერიკაში ისტორიულად ყველაზე მეტი ლტოლვილი სახლდებოდა, ვიდრე ყველა სხვა ქვეყანაში ერთად აღებული, თუმცა ბოლო წლებში მისი მიღება შენედა. 2016 წელს 85,000 ლტოლვილი შევიდა ქვეყანაში. ამავე წელს ბარაკ ობამამ, მხარი დაუჭირა 110 000 ლტოლვილის ჩასახლებას ამერიკაში 2017 ფისკალური წლისგანმავლობაში და გაზარდა 2015 წლის მაჩვენებელი 57%-ით. მოგვიანებით, 2017 წელს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ეს რაოდენობა შეამცირა 45 000-მდე, ხოლო, International Rescue Committee-ზე დაყრდნობით ამერიკამ მიმდინარე წელს მხოლოდ 21 292¹⁷ ლტოლვილი მიიღო.

აშშ-ში მიგრაციურ პროცესებთან დაკავშირებით, საინტერესოა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის, ფილიპ მარტინის ანგარიში სახელწოდებით „მიგრაციის მართვასთან დაკავშირებული გლობალური გამოწვევები“, რომლის მიხედვითაც, აშშ-მ 1950 წელს 250 000 მიგრანტს; 1960-იან წლებში-330 000 მიგრანტს; 1970-იან წლებში-450 000 მიგრანტს; 1980-იან წლებში-735 000 მიგრანტს და 1990-იან წლებში ერთ მილიონ მიგრანტს უმასპინძლა. იშვიათად მოიპოვება ისეთი სახელმწიფო, რომელიც ისეთივე მჭიდრო კავშირი აქვს მიგრანტებთან, როგორც აშშ.

¹⁷ International Rescue Committee

ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ იმატებს მიგრანტების რიცხვი აშშ-ში ასეთი მასშტატებით წლიდან წლამდე. მიზეზი არცთუ რთულად ასახსნელია, პირველ რიგში პოტენციური მიგრანტი გადაწყვეტილების მიღებისას რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს ითვალსიწინებს, მათ შორისაა დანიშნულების ქვეყნის მოსახლეობის განწყობა, კულტურული მახასიათებლები და ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთანავე აშშ-ში ნაკლები იყო ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები რაც მიგრანტისათვის დამატებით მოტივაციას წარმოადგენდა.

მიგრაციის დადებითი მხარეებით აშშ მართლაც რომ დიდ სარგებელს იღებდა მაგალითისათვის, ცნობილი მკვლევარი, მასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორი, ხალიდ ქოზერი, თავის წიგნში, საერთაშორისო მიგრაცია განმარტავს, რომ მიგრაციამ ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის ზრდას, მან ასევე წვლილი შეიტანა ცალკეული სახელმწიფოებისა და ამავე სახელმწიფოებში მცხოვრები საზოგადოების განვითარებაში, გაამდიდრა ბევრი კულტურა და ცივილიზაცია. მიგრანტები არიან საზოგადოების ყველაზე დინამიური, მეწარმეუნარიანი, განვითარებაზე ორიენტირებული და რისკიანი ნაწილი, რომელთაც აქვთ უნარი დატოვონ თავიანთი წარმომშობი ქვეყნები და ეძიონ უკეთესი ცხოვრება სრულიად უცხო სახელმწიფოებში. აუცილებელია ვახსენოთ, Kodak, Atlantic Records, RCA, NBC, Google, Intel, Hotmail, Sun Microsoft, Yahoo და Ebay-ის დამაარსებლები ან თანადამაარსებლები, რომლებიც ასევე იყვნენ მიგრანტები აშშ-ის ტერიტორიაზე. რომ არა ისნი აშშ ს ეკონომიკა დაკარგავდა მრავალ შესაძლებლობას და შემოსავლის მიღების დიდ წყაროს.

ადამიანების მომავალი, ვინც აშშ-ში მიგრირებას გეგმავს ამა თუ იმ მმართველის მიერ არჩეულ საიმიგრაციო პოლიტიკაზეა დამყარებული, აშშ-ს წინა პრეზიდენტს ბარაკ ობამას საკმაოდ ლოიალური პოზიცია ჰქონდა ამ საკითხის მიმართ მან 2014 წელს გაანცხადა „ იყო ამერიკელი ეს მეტია ვიდრე ის თუ როგორ გამოვიყურებით , რა გვარის ან რა პატივცემული ვართ“. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე მითითებულია მონაცემები აშშ-ში დღეს მყოფი მიგრანტების შესახებ, რომლის მიხედვითაც, აშშ-ში არის 40 მილიონი მიგრანტი, რაც

მთელი მოსახლეობის 14%-ია, აქედან 40%-ზე მეტი არის წარმატებული მაღალტექნოლოგიური კომპანიის დამაარსებელი, პლუს მშენებლობაში და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 60% არის მიგრანტი, ხოლო უკანასკნელი ათწლეულის განავლობაში 6.6 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო აშშ-ს მოქალაქეობა.

მიგრაცია ბევრ რამეში ცვლის წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს, მაგრამ ყველაზე მეტი შესამჩნევია მასპინძელი ქვეყნების ფულის და დემოგრაფიული ცვლილებების საერთაშორისო ნაკადები. იმიგრანტები ფულის გამომუშავების შემდეგ, მას ისინი თავიანთ ქვეყნებში ნათესავებს უგზავნიან. ეს ფულადი გზავნილები 2015 წელს დაახლოებით 600 მილიარდი დოლარის ოდენობით გაიზარდა. ზოგიერთი ქვეყნისთვის ფულადი გზავნილები ეკონომიკური საფრთხეა. მაგალითად, ცენტრალურ აზიის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით მეოთხედს ან მეტს ფულადი გზავნილები შეადგენენ. მიგრანტები ასევე ცვლიან მათი დანიშნულების ქვეყნების დემოგრაფიას. 1965 წლიდან 2015 წლამდე, 59 მილიონი ადამიანი მიგრირდა აშშ-ში, შესაბამისად აშშ-ში ამჟამად 72 მილიონზე მეტითაა გაზრდილი მოსახლეობა მიგრანტების შვილებით და შვილიშვილებით, ვიდრე იქნებოდა მიგრაციის გარეშე. ანალოგიურად, სავარაუდოდ, იმიგრაცია მომავალი 50 წლის განმავლობაში აშშ-ის მოსახლეობის ზრდაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობას 441 მილიონამდე გაზრდის. თუ დამატებითი ემიგრანტები აშშ-ში 2015 წლიდან არ შევიდნენ, 2065 წელს ქვეყნის მოსახლეობა 338 მილიონამდე იქნება - ეს დაახლოებით იგივეა, რაც დღეს. ფართომასშტაბიანი ემიგრაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ერების დემოგრაფიაში. ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეულ ჯგუფებს შორის მიგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის დაბერება და ამ ქვეყნებიდან მაღალკვალიფიციური კადრების დენადობა.

ამერიკელების ემიგრანტებზე მოსაზრებები ბოლო წლებში შეიცვალა. ახალ Pew Research Center- ის კვლევაში, დაახლოებით 1/6 აშშ-ს მოზარდები (63%) ამბობენ, რომ ემიგრანტები აძლიერებენ ქვეყანას მათი შრომისა და ნიჭის მეშვეობით. ამის საპირისპიროდ, დაახლოებით 1/4 (27%) ამბობს, რომ ემიგრანტები აშშ-ს ტვირთად აწევს,

სამუშაო ადგილები, საცხოვრებელს და ჯანდაცვას იღებენ. სწორედ ამ ორი მხარის დაპირისპირება იყო დონალდ ტრამპის და ჰილარი კლინტონის საარჩევნო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები. საბოლოოდ კი მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ უსაბუთო ემიგრანტებს უნდა ჰქონდეთ უფლება, დარჩეს ქვეყანაში, იმ პირობით, რომ მათ გარკვეული მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

4.2.1 „მწვანე ოცნების“ დასასრული

რა სიტუაციას ვასწყდებით დღეს ამერიკაში? შიცვალა ხელისუფლება და შესაბამისად ის პოლიტიკა რომელიც გატარებულია ემიგრანტთათვის. დონალდ ტრამპი ნამდვილად მკაცრად მოითხოვს ამერიკის დაცლას ემიგრანტებისგან, რაც თავისთავად არც თუ ისე სერიოზულად ჟღერს რადგან ამერიკის მოსახლეობა მთლიანად ემიგრანტებისგან შედგება და თავადაც არ გახლავთ მისი ძირძველი მკვიდრი . მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშშ-მ გაეროს მიმართა, რომ მიგრაციის გლობალურ შეთანხმებას დატოვებს, წერს ამერიკის ხმა. 2016 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო არასავალდებულო ხასიათის დეკლარაცია ლტოლვილებისა და ემიგრანტების შესახებ. შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს უნდა დაეცვათ ლტოლვილების უფლებები, დახმარებოდნენ გადასახლებასა და განათლებისა და სამსახურის მიღებაში. გაეროში აშშ-ს მუდმივა წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ განაცხადა, რომ დეკლარაციაში ასახული დებულება ქვეყნების ინტერესებსა და ტრამპის პოლიტიკას არ შეესაბამება. მისივე თქმით, ამერიკა თვითონ გადაწყვეტს ლტოლვილებისა და ემიგრანტების საკითხს: "ჩვენ განვსაზღვრავთ როგორ გაკონტოლდეს საზღვარი საუკეთესოდ და ვინ უნდა გადმოკვეთოს ის. ნიუ-იორკის გლობალური მიდგომა აშშ-ს სუვერენიტეტთან შეუთავსებელია". დონალდ ტრამპმა ცოტა ხნის წინ ხელი მოაწერა ბრძანებას საზღვრის დაცვაზე და ლტოლვილთა შესახებ კანონების გამკაცრებას. 2017 წლის შუა რიცხვებში კი მთლიანად გადაატრიალა ბარაკ ობამას მიერ მიღებული ობოლ ბავშვთა და მათი

მშობლების დეპორტის პროგრამა. 2017 წელს საბაჟო დაცხვის სამსახურის მოანცემებით წინა წელთან შედარებით სამხრეთის საზღვარზე დაკავებული ადამიანთა რიცხვი 26%-ით შემცირდა, რასაც მკვლევარები ტრამპის პოლიტიკის გავლენას უკავშირებენ. ასევე 40%-ით გაიზადა საექვო დაუსაქმებელი ემიგრანტების დაპატიმრება. ასობით ათასი ადამიანი სამართლებრივად მუშაობს ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა სახის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ვიზების დაცვის ქვეშ. 2017 წელს, ამერიკის შეერთებული შტატები 180,000 ვიზას უთმობდა მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებიც ცნობილია H1B ვიზებით და 250,000 ვიზა გაიცა დროებითი მუშაკებისთვის სოფლის მეურნეობისა და სხვა სექტორში. H1B ვიზები წელიწადში 85,000-ს შეადგენს. ემიგრანტებმა აშშ-ში მუშაობის დაახლოებით 17 პროცენტი შეადგინეს 2014 წელს Pew Research Center- ის მიხედვით. იმ, დაახლოებით ორი მესამედი იყო ქვეყანაში კანონიერად. ერთობლივად, ემიგრანტებმა შიდა თანამშრომლების 45% შეადგინეს; ისინი ასევე იყვნენ აშშ-ს წარმოების (36 %)სოფლის მეურნეობის (33%) და საცხოვრებელი (32%) სამუშაო ძალის დიდი ნაწილი. კიდევ ერთი Pew კვლევამ აღმოაჩინა, რომ ემიგრანტების გარეშე, აშშ-ის სამუშაო ძალის 2015 წლის 173.2 მილიონიდან 2035 წელს 165.6 მილიონამდე დაიკლებს.

დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა რამდენიმე აღმასრულებელ ბრძანებას საიმიგრაციო პოლიტიკის განხრით. პირველი, რითაც სასაზღვრო უსაფრთხოებაზე გაამახვილა ყურადღება, ფედერალურ უწყებებს დაავალა, რომ აშშ-ს მექსიკის საზღვართან სრული კონტროლის დაწესების. გარდა ამისა მან დაადგინა რომ ადამიანები რომლებიც ვერ დაამტკიცებენ მათ აშშ- ში ყოფნას ორი წლის განმავლობაში შესაბამისი დოკუმენტაციით, სასამართლო მოსმენის გარეშე იქნან გაძევებულნი. მეორე, რომელიც ფოკუსირებულია შიდა აღსრულებაზე,და პრივილეგიების მოხსნაზე ასევე ზღუდავს თანამშრომლობას ფედერალური საემიგრაციო თანამდებობის პირებთან. მესამე, რომელითაც ყურადღება გამახვილდა ტერორიზმის პრევენციაზე, ირანის, ერაყის, ლიბიის, სომალის, სუდანისა და იემენის აკრძალულ მოქალაქეებზე აშშ-ში შესვლის დღიდან მინიმუმ ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში; დაბლოკა მოქალაქეები სირიიდან

განუსაზღვრელი ვადით; და შეაჩერა ამერიკის ლტოლვილთა პროგრამა 120 დღის განმავლობაში. ტრამპის ადმინისტრაციამ შეცვალა რამდენიმე კანონი მათი ყველაზე კრიტიკული ვარიანტებით, მაგრამ ჰავაის ფედერალურმა მოსამართლემ მასზე დროებითი შემაკავებელი ბრძანება დააწესა. 2018 წელს ტრამპმა დაასრულა რამდენიმე დახმარების პროგრამა, რომელიც მოქმედებდა დაახლოებით ორი ათას სალვადორელზე 2001 წლის მიწისძვრის შემდგომ.

შტატებში ყოველთვის განსაკუთრებულად ეყრდნობდნენ არალეგალურ ემიგრანტებს. ზოგიერთი შტატი, როგორცაა კალიფორნია, საშუალებას აძლევს არალეგალურ ემიგრანტებს მძღოლების ლიცენზიების, უნივერსიტეტში სახელმწიფო სწავლის კურსი და სხვა სარგებელის მიღების. მეორე მხარეს კი არის მაგალითად, არიზონა, რომელმაც მიიღო კანონები იმიგრაციის სტატუსის მინიჭების გამკაცრების შესახებ. რაც სეეხება ზემოთ აღწერილ კალიფორნიას 2018 წლის მარტში იუსტიციის დეპარტამენტმა მის წინააღმდეგ შტანა სარჩელი, რომლის თანახმადაც, ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა ფედერალურ საემიგრაციო აღსრულებას უშლის ხელს.

ამჟამინდელი საემიგრაციო პოლიტიკის ერთ-ერთი სფერო, რომელიც შეიძლება კონგრესს აშფოთებდეს არის H1B პროგრამა. დემოკრატიულმა და რესპუბლიკელმა დეპუტატებმა გამოთქვეს ინტერესი პროგრამაში რეფორმირებისთვის, რომელიც კრიტიკოსების განცხადებით დაიჩაგრა კომპანიების მიერ გარედან მოზიდული კვალიფიციური შრომითა და შემცირებული ღირებულებით. ტრამპმა ამ პროგრამაშიც შიტანა ცვლილებები 2017 წლის აპრილიდან, რომლის მიხედვითაც ეს ვიზები გადაეცემა მხოლოდ ყველაზე გამოცდილ ან ყველაზე მარალანაზრაურებად განმცხადებლებს.

73-ე გაეროს გენერალური ანსამბლის სესიაზე დონალდ ტრამპმა ოფიციალურად თქვა უარი გლობალურ მიგრაციულ პაქტში აშშ-ს მონაწილეობაზე და გამოთქვა მოსაზრება რომ მიგრაციის პრობლემის მოგვარება მშობლიური ქვეყნების განვითარების საფუძველზე უნდა მოხდეს. ასევე 2019 წლის ივნისის თვეში ტრამპის მიერ გავრცელებული განცხადება მექსიკის მიმართ უკვე მუქარის სახეს იღებს, რადგან მისი

პოლიტიკური ხედვით მექსიკა არაფერს აკეთებს მიგრაციული ნაკადების შემცირებისთვის და ცდილობს აშშ-ს გადასახადის გადამხდელებისთვის უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაკისრებას, ამ ყველაფერის თავიდან არიდებას და მიგრაციის ნაკადების ხელოვნურად კლებას კი შანტაჟის გზით ცდილობს. კერძოდ, 10 ივნისიდან აშშ მექსიკას საბაჟო ტარიფების დაწესებას გეგმავდა, პირველ ეტაპზე ეს ტარიფები მექსიკურ იმპორტზე 5%-ით შემოიგფარგლებოდა, ხოლო თუ მექსიკიდან უკანონო მიგრაციის ნაკადების ახლო მომავალში კლების ტენდენციას არ ექნებოდა ადგილი გაიზრდებოდა ყოველთვიურად 5%-ით და 1 ოქტომბრისთვის 25%-ს შეადგენდა. ამ ნიშნულზე შენარჩუნდება გეგმავდა, მანამ სანამ აშშ-ს სამხრეთ საზღვარზე არალეგალი მიგრანტების გასვლა არ შეწყდებოდა ან ოფიციალური მეხიკო მათ მიერ შემოთავაზებულ ზომებს არ მიიღებდა.

თავისთავად მექსიკის ეკონომიკისთვის ეს პროცესები დიდი დარტყმა იქნება რადგან მისი ბაზარი მთლიანადაა დამოკიდებული აშშ-ში საქონლის ექსპორტზე. 2019 წლის დასაწყისიდან მიგრანტების რაოდენობა მექსიკიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა და თორმეტწლიან მაქსიმუმს მიაღწია. მაისში დაკავებული იქნება 132887 მიგრანტი როდესაც საზღვარს არალეგალურად კვეთდნენ, ეს რიცხვი წინა თვესთან შედარებით 33%-ით გაზრდილია. ეს ფაქტი გვიჩვენებს რომ ტრამპის პოლიტიკა არც თუ ისე ეფექტიანად მოქმედებს, რამაც საბიოლოოდ მექსიკურ საქონელზე ტარიფების დაწესების იდიასთან მიგვიყვანა. რაც შეეხება კედლის მშენებლობას, რომელიც ტრამპის საარჩევნო პოლიტიკის მთავარი ბერკეტი იყო კონგრესის ქმედებების გამო ჯერ კიდევ არა რეალიზებული რჩება.

რით შეუძლია მექსიკამ თავი დაიძვრინოს ამ არც თუ ისე სახარბიელო პოზიციიდან? აშშ თავის პოზიციებს თუ არ დათმობს შეასუსტებს მაინც მეხიკოდან რამდენიმე პოლიტიკურად მნიშვნელობავანი გადაწყვეტილების განხორციელების მცდელობა რომ დაინახოს. ეს გადაწყვეტილებებია გვატემალას საზღვრთან კონტროლის გამკაცრება, ისეთი ორგანიზაციების გაუქმება, რომელბიც ხელს უწყობენ არალეგალურ მიგრაციას და

ასევე მექსიკის უსაფრთხო ქვეყნად აღიარება, რომლიდანაც მოსახლეობას აღარ ექნებათ არანაირი უფლება შტატებში თავშესაფრის მოთხოვნის.

სამწუხაროა როდესაც უნდა ავლნიშნოთ არსებობს რამდენიმე „მაგრამ“ რის გამოც ვერ მოხდება ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების განხორციელება. მექსიკისთვის საკმაოდ რთული იქნება გვატემალელი ლტოლვილების შეჩერება ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე ოფიციალური მეხიკო სავარაუდოდ უძლური იქნება იმ არალეგალურ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახდენენ მიგრანტების გადაყვანას გვატემალიდან და ამავე დროს თავად მექსიკიდანაც შტატების საზღვარზე. ხოლო რაც შეეხება საცხოვრებლად უსაფრთხო ქვეყნის სტატუსის მინიჭებას, ალბათ ეს იქნება ყვეალზე ძნელი შესასრულებელი პუნქტი, რადგან მექსიკა არის ქვეყანა სადაც კრიმინალის დონე დღითიდღე იმატებს და თითქმის წალეკილი აქვს ყვეყანა. მექსიკის პრეზიდენტი ანდრეს ობრადორი ამ დამოკიდებულებას შევიწროებად მიიჩნევს და მექსიკის „გეტოდ“ გადაქცევის მცდელობად. მაგრამ, ამის მიუხედავად გვატემალის საზღვარზე მექსიკამ ეროვნული გავრდიიდან 6000 ადამინი გაგზავნა, რათა აშშ-ში არალეგალი მიგრანტების გადასვლა შეაჩეროს მექსიკის გავლით.

თავად შტატებში არ ემხრობიან ამ გადაწყვეტილებას რესპუბლიკელებიც კონგრესისი ფინანსური კომიტეტის თავჯდომარე ჩაკ გრასლი აღნიშნავს „სავაჭრო პოლიტიკა და საზღვრების უსაფრთხოება - ცალკე საკითხებია, მათი არევა არასწორია. ჩვენ მოვესწარით, ამერიკის პრეზიდენტისთვის მინიჭებული ტარიფების დაწესების უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტს და ეს ეწინააღმდეგება კონგრესის დამოკიდებულებას“. წარმომადგენელთა პალატის წევრი ბერტო ო-რურკერი აღნიშნავს „არ გვესაჭიროება ტარიფები. გვჭირდება მხოლოდ საიმეგრაციო კანონები, რომლებიც შეეფერება ჩვენს ფასეულობებს“.

რა სავალალო შედეგებს მოუტანს მექსიკას ეს ტარიფები? მექსიკა აშშ-ს სავაჭრო პარტნიორების რიგში ჩინეთის შემდგომ მეორეა. 2017 წელს აშშ-ში მექსიკის ექსპორტმა 315 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 243 მილიარდი დოლარი. 5% ტარიფის შემოღება გააძვირებს მექსიკის პროდუქციას წელიწადში 15-17მილიარდი

დოლარით, ეს სიტუაციაც დროებითი იქნება არ ვიცით რა მოხდება ტარიფის 25% გაზრდის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ეს პროდუქცია ზედმეტად გაძვირდება და მისი ექსპორტი სრულიად შეწყდება. ამ მოვლენების შემდგომ მექსიკური პესო 3.3%-ით დაეცა. მექსიკაში დაეცა ავტონდუსტრიის აქციების ფასი, (Volkswagen — 3%-თ, Mazda — 7%-ით), რადგან მექსიკა არის ავტოწარმოების უდიდესი ცენტრი, რომლის ბაზარიც თითქმის მთლიანად მუშაობს შტატების ბაზარზე. ჯენერალ მოტორსი (General Motors) მექსიკაში 14 ქარხანას ფლობს, სადაც აწარმოებს 834000 ავტომობილს, აქედან 811000 ექსპორტირდება აშშ-ში. შედეგად მივიღებთ რომ მექსიკის ბაზარი დაზარალდება ბევრად უფრო მეტად ვიდრე აშშ-ს ბაზარი, მაგრამ ვერც შტატების ბაზარი გამოძვრება დანაკარგის გარეშე, რადგან დაზარალდებიან ის გიგანტი კომპანიები რომელმაც იაფი მუშახელის გამო საწარმოები მექსიკაში გადაიტანეს, პირველი სფერო რომელსაც ეს დაარტყავს ეს იქნება ავტონაწილების, თუმცა შემდგომ სხვა სფეროებზეც გავრცელდება.

მექსიკას და აშშ-ს შორის ვაჭრობასა და მიგრაციაზე შეთანხმების მიღწევის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა 8 ივნისს განაცხადა. დონალდ ტრამპის თქმით, მექსიკა დათანხმდა, რომ არალეგალურ მიგრაციასთან საბრძოლველად აშშ-ის საზღვარზე გადამწყვეტ ზომებს მიიღებს. დონალდ ტრამპის თქმით, მექსიკა შეეცდება შეთანხმების შესრულებას და განხორციელების შემთხვევაში, ეს იქნება ძალიან წარმატებული შეთანხმება როგორც აშშ-ისთვის, ასევე, მექსიკისთვის. შეთანხმების ჩაშლის შემთხვევაში, აშშ-ი მექსიკის წინააღმდეგ ტარიფების დაწესებას გეგმავდა. მექსიკა სამხრეთ საზღვარზე ეროვნულ გვარდიასაც განათავსებს.

ივნისში, მექსიკამ, 33 პროცენტით მეტი უცხოელი დაადეპორტა, მას შემდეგ, რაც ქვეყანა შეთანხმდა, რომ გადადგას "უპრეცედენტო" ნაბიჯები მიგრაციის შემცირების მიზნით, რათა თავიდან აიცილოს აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპის მუქარის ტარიფები.

ივნისში მექსიკიდან დეპორტაციების საერთო რაოდენობა იყო 21,912, მათში 16,507-ით გაიზარდა, ეროვნული მიგრაციის ორგანოს წინასწარი მონაცემებით. ზრდა მას შემდეგ მოვიდა, რაც მათში ტრამპი დაემუქრა, რომ ტარიფები დაწესდება მექსიკის ყველა

საქონელზე, თუ ქვეყანა მეტს არ გააკეთებს, რომ შეაჩეროს ცენტრალური ამერიკის მიგრანტების ნაკადი, რომელიც გადალახავს აშშ-მექსიკის საზღვარს. ერთკვირიანი დამაბული მოლაპარაკებების შემდეგ, მხარეებმა 7 ივნისს გამოაცხადეს გარიგება, რომლის თანახმად მექსიკა შეთანხმდა, რომ გაგზავნოს ათასობით ეროვნული გვარდიელი, რომ დაიცვას მისი საზღვრები და გააფართოოს თავშესაფრის მაძიებლების დაბრუნების პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ, რომელიც ცნობილია როგორც "დარჩენა მექსიკაში"(Remain in Mexico), უკვე გაგზავნა თითქმის 17,000 მიგრანტი მექსიკაში. ცალკეულ განცხადებაში, მექსიკის მთავრობამ განაცხადა, რომ მან 66 კაციდან პირველი ჯგუფი დაბრუნდა სამშობლოში, ახალი "ნებაყოფლობით დაბრუნების" ("voluntary return") პროგრამით. ამ გარიგებას უკვე მოაქ ტრამპისთვის საურველი შედეგები, შშ-ის სამხრეთ საზღვარზე დაკავებულ მიგრანტთა რიცხვი სავარაუდოდ ივნისისთვის 25 პროცენტით იკლებს, განაცხადა სამშაბათს საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, კევინ მაკლეენანმა. ხელშეკრულების თანახმად, მექსიკას 45 დღე აქვს შედეგების სანახავად. ტრამპმა ვაშინგტონში განაცხადა რომ მექსიკა კარგ საქმეს აკეთებს, მექსიკის პრეზიდენტი ანდრეს მანუელ ლოპესი ობზადორის პრესკომფერენციაზე გამოდის განცხადებით "მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტი ტრამპი აღიარებს, რომ ჩვენ ვცდილობთ შეასრულოს ჩვენი ვალდებულება, გამოიყენოს ჩვენი კანონები და, ადამიანის უფლებების დარღვევის გარეშე, შეამციროს მიგრანტების ნაკადი". პირველ თვეში მექსიკამ განდევნა 5,717 უცხოელი - წინა თვის 10,180-დან განსხვავებით. თუმცა, დეპორტაციები მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ტრამპმა განაახლა აშშ-მექსიკის საზღვრის დახურვის საფრთხე. აპრილში - თვის შემდეგ, რაც ტრამპმა საფრთხე შეუქმნა - მექსიკიდან დეპორტები გაიზარდა 66 პროცენტით, 14,940-მდე. აშშ-ს ამ ქმედებებმა დათესა საფრთხე ლტოლვილებს შორის და მათი რაოდენობა დღიდღე იკლებს.

დიაგრამა 4.2.2




წყარო: Pew Research Center-ის ანალიზი გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატის ანალიზი 12 ივნისი 2019წ.¹⁸

საბოლოოდ ცხრილის სახით შევაჯამოთ ის მონაცემები რის მიხედვითაც აშშ მნიშვნელოვანდ ჩამორჩა ლტოლვილთა მიღებით მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. 2017 წლმდე ამერიკა იღებდა უფრო მეტ ლტოლვილს ვიდრე სხვა ნებისმიერი ქვეყანა. 1980 წლიდან აშშ-მ განასახლა მილიონობით ლტოლვილი (დაახლოებით 3 მილიონი). მას მოსდევდნენ კანდა (658000) და ავსტრალია (486000), რომლებმაც საცხოვრებელი მისცეს თითომ მილიონზე ნაკლებ მოსახლეს , ერთიდაიგივე პერიოდის განმავლობაში. ლტოლვილთა განსახლების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე ასევე განსხვავებულია ქვეყნებს შორის. აშშ აძლევს თავშესაფარს 70 ლტოლვილს ყოველ მის მილიონს რეზიდენტზე 2018 წელს, ეს მონაცემი ბევრად დაბალია ვიდრე სხვა ქვეყნის ანალოგიური მონაცემები. კანადა ლიდერობდა ამ საზომი ერთეულით იგი ასახლებდა 756 ლტოლვილს მისი მოსახლეობის ყოველ მემილიონედზე. ავსტრალია (510) შვედეთი (493) და ნორვეგია(465) ამ ქვეყნებსაც

¹⁸ შენიშვნა: ლტოლვილთა განსახლების რიცხვები მოცემულია ათასებში

კი ბევრად მეტი ლტოლვილის მიღების კვოტა აქვთ ყოველ მათ მილიონ ამცხოვრებელზე ვიდრე ამერიკას. ლტოლვილთა განსახლების ნებართვას დევნილება ავსებენ სხვა ქვეყნებში და დანიშნულების ადგილას არ ჩადიან სანამ არ ექნებათ ოფიციალური დასტური მათ განცხადებაზე. ლტოლვილების განცხადებებს განიხილავენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ლტოლვილის განცხადების დამტკიცების პროცესი აშშ-ს შეუძლია მიიღოს რამდენიმე თვეში ან წელიწადში, სანამ სავარაუდო ლტოლვილი უსაფრთხოების შემოწმებას დაასრულებს. განსახლებული ლტოლვილები(Resettled refugees) განსხვავდებიან თავშესაფრის მაძებლებისგან(asylum seekers), ეს უკანასკნელები არიან ადამიანები, რომლებიც საზღვარს კვეთენ ოფიციალური განსახლების ნებართვის გარეშე.

დიაგრამა 4.2.2



წყარო: Pew Research Center-ის ანალიზი გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატის ანალიზი 12 ივნისი 2019წ.¹⁹

¹⁹ შენიშვნა: უცნობი ერები არა რის გათვალისწინებული

2018 წელს, მსოფლიოს დასახლებული ლტოლვილების დაახლოებით ნახევარი (47%) იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ხოლო თითქმის ერთი მესამედი (32%) აფრიკიდან. შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან - ძირითადად სირია და ერაყი - ავსტრალიაში იქნა განსახლებული ლტოლვილების 49%, კანადაში 55%, ხოლო ბრიტანეთში - 85%. ხოლო ამერიკამ ლტოლვილების ამ ტალღის მხოლოდ 1% მიიღო. აშშ-ში განსახლებული ლტოლვილთა უმრავლესობა იყო აფრიკიდან (51%) ან აზიიდან (27%)²⁰.

4.3. კვალიფიციური სამუშაო ძალის ემიგრაცია („ტვინების გადინების პრობლემა“)

რა ქმნის ქვეყანას ძლიერს და დამოუკიდებელს? რა თქმა უნდა მის ტერიტორიის შიგნით არსებული რესურსები, ამ რესურსები ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ძირითადი მამოძრავებელი ძალა, კი ადამიანური კაპიტალია. ადამიანური კაპიტალის დაყოფა შეგვიძლია მაღალკვალიფიციურ და დაბალკვალიფიციურ ძალებად, განათლების მაღალი ხარისხი მაღალკვალიფიციური ძალის არსებობის და ქვეყნის განვითარების გარანტია, ამ კაპიტალის სამშობლოში შენარჩუნებისთვის კი ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, მაგრამ ხშირად ისეც ხდება რომ რიგი მიზეზების გამო ეს მუშახელი გადაადგილდება სხვა ქვეყნებში. ეს პროცესი შრომითი მიგრაციის სახელითაა ცნობილი. „საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ“ განმარტებით შრომითი მიგრაცია არის - „პირის შრომითი მოწყობის სახელმწიფოში უცხოელ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის საქართველოდან გასვლა ან სხვა სახელმწიფოდან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის საქართველოში შემოსვლა ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის“²¹. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და მიგრაციის

²⁰ Pew Research Center analysis of United Nations High Commissioner for Refugees data, accessed June 12, 2019

²¹ „საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ“

საერთაშორისო ორგანიზაცია შრომით მიგრაციას განსაზღვრავს, როგორც „მოსახლეობის გადაადგილებას მშობლიური ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში დასაქმების მიზნით“. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ შრომითი მიგრაცია საუკეთესო გამოსავალია მიგრანტი მოსახლეობისთვის სამშობლოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური გარემოთი გამოწვეულ ეკონომიკური კრიზისის ან კარიერული წინსვლის არარსებობის დაძლევისთვის. ეს პრობლემა წარმოიქმნება ისეთ ქვეყნებში რომლებიც ნაკლებ განვითარებულები არიან და არანაირი სამეცნიერო კვლევითი ბაზები არ გააჩნიათ, რის გამოც განათლებული მოსახლეობა იწყებს ნელ-ნელა გადადინებას ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც ძლიერი საკვლევი ინსტიტუტები გააჩნიათ შესაბამისი მაღალი ანაზღაურებით. ნიჭიერ და განათლებულ მოსახლეობას უნდა ჰქონდეთ როგორც ფინანსური ისე პროფესიული დაინტერესება მშობელ ქვეყანაში დასარჩენად. მაგრამ არის კი ეს სიმართლე? რამდენად აზიანებს სამუშაო ძალის გადინება ქვეყნის შრომის ბაზარს? ამ ნაშრომში განხილული იქნება შრომითი მიგრაციის ერთ-ერთი პრობლემური ასპექტი ინტელექტუალური მიგრაცია, რომელსაც „ტვინების გადინების“ სახელით ვიცნობთ, გავეცნობით მის დადებით და უარყოფით მხარეებს და გავაანალიზებთ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის მათ შედეგებს, რის შემდეგაც შეგვეძლება საერთო დასკვნა გავაკეთოთ ამ ორაზროვან პროცესზე.

ამ ქვეთავში განხილული იქნება ინტელექტუალური შრომითი ბაზრის მონაწილე აზიის ქვეყნების მაგალითს განვიხილავ სტენფორდის ახალგაზრდული უნივერსიტეტის და „Freeman Spogli Institute for International Studies“ მიერ გამოქვეყნებულ „Shorenstein Asia-Pacific Research Center“-ის დირექტორ, პროფესორ გი-ვუკ შინის 2018 წლის წიგნს “From Brain Drain to Brain Circulation and Linkage” რაც შეეხება ინტელექტუალური მიგრაციის მიზეზებს გაგაცნობთ პროფესორ არტურო ბრის 2017 წლის ნოემბრის სტატიას „What drives brain drain and brain gain?“. როგორც მოგვეხსენება „ტვინების გადინება“ პრობლემად მოიაზრება მთელს მსოფლიოში, მაგრამ არ შეიძლება მისი დანახვა მხოლოდ ერთი მხრიდან, შესაბამისად მის მიერ მიღებულ სარგებელზე/დანაკარგზე რიცხობრივი მონაცემებისთვის წარმოდგენის შესაქმნელად

განხილულ იქნება UNESCO-ს სტატისტიკის ინსტიტუტის (UIS) დირექტორ სილვია მონტოიას 2018 წლის სექტემბრის სტატია „The Benefits Arising from International Knowledge Networks“.

4.3.1 კვალიფიციური მუშახელის ბაზრის მოკლე მიმოხილვა, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები

„ტვინების გადინება“ მაღალკვალიფიციური და განათლებული კადრების ემიგრაციას ნიშნავს დაბალ განვითარებული ქვეყნებიდან მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, განვითარებად ქვეყნებში ამის პროცესების ხელისშემწყობ ფაქტორებად გვევლინება პოლიტიკური არასტაბილურობა და შესაძლებლობების ნაკლებობა. ამ პროცესს ასევე ვიცნობთ „ადამიანური კაპიტალის გაფრენის“ სახელით. გლობალურად ინტელექტუალური მიგრაცია ისეთივე ძველია როგორც თავად კაცობრიობა. „ტვინების გადინების“ ეს გადაუჭრელი საკითხი მსოფლიოში უკეთესი სამუშაო პირობების ძებნის გამო ხდება, ეს მოვლენები 1960 წლამდე მასიური არ ყოფილა და მხოლოდ ამერიკასა და დასავლეთ გერმანიას ახასიათებდა ტვინების იმპორტიორი ქვეყნების როლი, ხოლო მის შემდგომ კი სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება.

1950-იანი წლებიდან ევროპის ქვეყნებიდან საკმაოდ დიდი ტალღა წავიდა აშშ-ში, რომლის ძირითადი ნაწილსაც მეცნიერები, მასწავლებლები და განათლებული სტუდენტები შეადგენდნენ ახალი კვლევითი გამოწვევების დასაძლევად. ყველაზე მეტად აქტიურობენენ დიდი ბრიტანეთი და ევროპის სამი ქვეყანის: გერმანიის, იტალიის და საფრანგეთის მოსახლეობა, რადგან ამ დროს მთელი ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიღებულ შედეგებს იმკიდა ხოლო აშშ-ს მთავრობამ კი სამეცნიერო კვლევით დარგების დაფინანსების ინტერესი დროულად გამოხატა.

თავად ტერმინი „ტვინების გადინება“ (Brain Drain) წარმოიშვა 1960 წელს როდესაც ის სამუშაო ძალა რომელიც ქვეყნის განვითარების ძირითადი აქტივი იყო გაემგზავრა გაერთიანებული სამეფოდან ამერიკაში. ასევე აფრიკამ დაკარგა ძირითადი

მაღალკვალიფიციური მამაკაცები, რომელიც მიგრირდა ჩრდილო ამერიკასა და ევროპაში. სწორედ 1960 წელი იყო ტექნიკური რევოლუციისთვის საწყისი და გარდამტეხი პერიოდი პოპულარობა ჰპოვა კომპიუტერულმა და საინფორმაციო ტექნიკის განვითარებამ. 1960 წლიდან დღემდე ბევრი რამ შეიცვალა, გლობალიზაციამ კარი გაუღო სამუშაო ძალის მობილიზებას ეკონომიკურად მყარ და განვითარებულ ქვეყნებში. სამეცნიერო დიასპორა წარმოგვიდგენს იმ მაღალკვალიფიციურ პოტენციალის საჭირო პროფესიებს, როგორცაა IT ტექნოლოგიები, ინჟინრები, ექიმები, მეცნიერები. სამშუხაროდ წარმოშობის ქვეყანა კარგავს პატრიოტ, ეთიკურ და მორალურ ემოციების მქონე ახალგაზრდებს რადგან მათი აზროვნება უკვე დაზიანებულია განვითარებადი სამყაროს შესახებ მატერიალური და უიმედო მომავლის მქონე ფიქრებით.

ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა როგორც წესი სავალალოა ხოლმე, მათთვის დამახასიათებელია ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია, სუსტი მოთხოვნა განათლებულ მსოხლეობაზე, ასევე მეცნიერებაში ჩადებული მცირე ინვესტიციები. დღესდღეისობით ესეთი ქვეყნები არიან : უნგრეთი, ინდონეზია, ესპანეთი, იტალია, ირანი , სირია , ისინი უკვე ცდილობენ მთელი ძალით შინარჩუნონ ეს მოსახლეობა ქვეყნის შიგნით კარგი პირობების შექმნით.


1980-1990 წლები სოციალისტური ქვეყნებისთვის კარის გაღების პერიოდად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეს იყო კიდევ ერთი დიდი ტალღა რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია, რამაც ინტელექტუალურ მიგრაციას შეუწყო ხელი და ინტელექტუალი მოსახლეობის დიდი ნაწილი წავიდა აშშ-ში, კანადასა და დასავლეთ ევროპაში. ეს ვითარება ამჟამადაც აქტუალურია რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთი სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობით რუსეთიდან მიგრირებული ინტელექტუალი მოსახლეობის რიცხვი დღითიდღე იზრდება ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზების გამო. „themoscowtimes“-ში 2018 წლის 24 იანვარს გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით-რუსეთის ეკონომიკისა და საჯარო ადმინისტრირების ეროვნული აკადემიის მკვლევარები (RANEPA) გვაცნობენ შემდეგ შედეგებს კვლევის მიხედვით, რომელიც ჩაატარეს უცხოელი ემიგრანტების გამოკითხვის შედეგად: ყოველწლიურად,

დაახლოებით 100,000 რუსი ემიგრაციაში მიდის განვითარებულ ქვეყნებში, მათგან დაახლოებით 40% უმაღლესი განათლება აქვთ. სულ 2.7 მილიონი რუსი ცხოვრობს საზღვარგარეთ, საიდანაც 1.5 მილიონი რჩება რუსეთის მოქალაქეობაზე. მხოლოდ 800000-მდე რუსს აქვს უფრო მაღალი კვალიფიკაცია და განათლება საზღვარგარეთ ცხოვრების გამო. აკადემიის მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა მეოთხედმა განაცხადა, რომ პოლიტიკური მიზეზების გამო დატოვეს ქვეყანა, მათ შორის 2012 წლის არჩევნების შემდეგ იმედგაცრუებამ და განსაკუთრებით 2014 წლის მოვლენებმა დიდი როლი ითამაშეს. სხვა რესპონდენტების განცხადებით, მათი წასვლა რუსეთისგან იყო "2014 წლის შემდეგ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება", მათ შორის ნაკლები შესაძლებლობები დასაქმების, კარიერის განვითარებისა და ხელფასების შემცირებაზე გამოძახილი. მიგრირებული მოსახლეობის მესამედის განცხადებით ისინი აღარასდროს დაბრუნდებიან სამშობლოში, ხოლო დაახლოებით 50% აცხადებს, რომ არ გამორიცხავს რუსეთში დაბრუნების შესაძლებლობას, მაგრამ ამის გაკეთება არ გეგმავს ახლო მომავალში.

ევროსტატის მიერ 2018 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნებულმა მაჩვენებლებმა ცხადყო ევროკავშირის მოქალაქე მეცნიერ-ინჟინრების კონცენტრაცია ბრიტანეთსა და გერმანიაში. ეს ორი ქვეყანა ჯამში იფარებს 38%-ს ასეთი მუშაკებისა, მაშინ, როდესაც მისი მოსახლეობა მთელი ევროკავშირის მოსახლეობის 29%-ს უდრის. განსხვავებით იტალიისა და საფრანგეთისაგან, რომელთა ჯამური მოსახლეობა ევროკავშირის 25%-ს შეადგენს, მაშინ როცა მეცნიერ-ინჟინრების მხოლოდ 16%-ის საცხოვრებელს წარმოადგენს

ბოლო 15 წლის განმავლობაში საშუალო განათლების მიღება გაიზარდა და შესაბამისად საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა რაოდენობა გაორმაგდა 2.1 მილიონიდან 4.7 მილიონამდე. UIS- ის მონაცემები აჩვენებს, რომ ყოველ 100 უმაღლეს სტუდენტთან ორი საზღვარგარეთ აგრძელებს სწავლას. ამ მოსწავლეთა ორ მესამედზე მეტი ცხოვრობს G20 ქვეყნებში, 19% აშშ-ში სწავლობს, შემდეგ კი გაერთიანებული სამეფოში 9% და ავსტრალიაში 6%.

გრაფიკი 4.3.1



ჩინეთი საერთაშორისო მასშტაბით ყველაზე მსხვილი სტუდენტების ექსპორტიორია, 800 000-ზე მეტი სტუდენტი საზღვარგარეთ სწავლობს საზღვარგარეთ 2015 წელს. ეს ყველაფერი 1978 წლიდან იღებს სათავეს როდესაც ძალაში შევიდა „ღია კარის პოლიტიკა“.

